უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში პროექტებისა და განხორციელებული ნაგებობების კონკურსში, ნომინაციაში „ინოვაცია და ტრადიციული არქიტექტურა“ ბულგარეთის კულტურის სამინისტროს **„ინტერარქი-2012“-ის გრან პრით,** არქიტეტურის საერთაშორისო აკადემიის, IAA-ს ოქროს მედლით და დიპლომით დაჯილდოვდნენ ქართველი არქიტექტორები: **დეკანოზი-მამა ბესარიონი (მენაბდე), IAA-ს ასოცირებული პროფესორი ბ-ნი ნიკოლოზ აბაშიძე, ბ-ნი ნიკოლოზ დადიანი.** მათი ავტორობით განხორციელებული ქ.**რუსთავში ღვთიშობლის მიძინების სახელობის ტაძრის „სიონი“-ს** პროექტის შექმნისათვის. ტაძარი აშენდა **ქტიტორის ბ-ნ თამაზ გველუკაშვილის** და რუსთავის ტაძრის მრევლის შრომითა და შემწეობით. მნიშვნელოვანია, რომ ინოვაციური მოცულობით-გეგმარებითი ნაგებობა, ნახევარწრიულ შემოსავლელებში ჩასმული თავისუფალი ჯვრის ტიპის გუმბათოვანი ტაძარი, აღმოსავლეთით განვითარებული აფსიდებით, აშენდა გათლი-

ლი ქვის გარე პერანგით და შიდა აგურის კედლების წყობით, მხოლოდ კირის დუღაბის ხსნარის გამოყენებით, რკინა-ბეტონის და ცემენტის ხსნარის გამოყენების გარეშე, თეიმურაზ ბურკიაშვილის მიერ შექმნილი კირის დუღაბის შემაერთებელზე, რითაც აღდგა უკვე 4 საუკუნის წინ შეწყვეტილი ქართული საეკლესიო მშენებლობის ტრადიცია. ტაძარის ფასადები და ინტერერები შეიმკო ქვაში ნაკვეთი ქართული ორნამენტებით, რომელთა მოძიებასა და მისადაგებაში დიდი წვლილი შეიტანა ხელოვნებათმცოდნემ ქ-მა ქეთევან აბაშიძემ. აღნიშნული ტრადიციული მეთოდის აღდგენა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის პატრიარქის, მცხეთა-თბილისის კათალიკოსის, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმიბნდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით განხორციელდა.

თანამედროვე არქიტექტურის ნომინაციაში განხორციელებული ნაგებობისათვის, სოფიაში იაპონიის საელჩოს სპეციალური პრიზით, ვერცხლის მედლით და დიპლომით დაჯილდოვდა IAA-ს აკადემიკოსი **ბ-ნი ვახტანგ დავითაია,** ინოვაციური და მაღალკრეატიული პროექტისათვის, საშუალო სკოლა სოფ. გავაზში.

ნომინაციაში საუკეთესო წიგნი ან პუბლიკაცია არქიტექტურის შესახებ, მეორე პრემიით და ვერცხლის მედლით დაჯილდოვდნენ არქიტექტორები IAA-ს პროფესორი **ბ-ნი შოთა ბოსტანაშვილი** და **ბ-ნი დავით ბოსტანაშვილი,** მონოგრაფიისათვის „ბუცა“ არქიტექტორ ჯ. ჯორბენაძის შემოქმედების შესახებ.

მეორე პრემიით და ვერცხლის მედლით, ასევე IAA-ს და ბულგარეთის არქიტექტორთა კავშირის დიპლომებით დაჯილდოვდა მაგისტრანტების და დიპლომების კონკურსზე ექვსი ახალგაზრდა არქიტექტორი. ვინაიდან ასეთი მაღალი შეფასება მიიღეს არქიტექტურის ფაკულტეტის კურსდამთავრებულებმა ცალკე აღინიშნა ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების დამსახურება, ახალგაზრდა არქიტექტორთა აღზრდის საქმეში გაწეული წვლილისათვის და გადაეცათ **არქიტექტურის ფაკულტეტების დეკანებს ბ-ნ გოჩა მიქიაშვილს და ბ-ნ ნოდარ ამაშუკელს** ოქროს კაპიტელები და დიპლომები.

უკვე ათეულ წელზე მეტია ქ.თბილისის მერიას არ დაუწესებია ინტერარქის პრიზები, ამჯერად თბილისის მერიის სპეციალური პრიზით, ინტერარქის ვერცხლის მედლით და დიპლომით დაჯილდოვდა მალტელი არქიტექტორი რიჩარდ ინგლენდი პროექტისათვის „ლია ცის სამლოცველო“. მალტაში, პრემია მიანიჭა საერთაშორისო ჟიურიმ, ხოლო მერიის რწმუნებით პრემიის გადაცემის "რიტუალი" "ინტერარქ-2012"-ის საზეიმო დახურვის დროს შეასრულეს საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარემ ბ-ნმა დავით აბულაძემ, სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანმა ბ-ნმა გოჩა მიქიაშვილმა და ბ-მა ვახტანგ დავითაიამ. აღსანიშნავია, რომ საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თანადგომით გახდა შესაძლებელი წელს ასეთი მაღალი რანგის ფორუმში ქართველ არქიტექტორთა მონაწილეობა და გამარჯვება.

გარდა გამოფენა კონკურსებისა ტრიენალეს ფარგლებში სოფიის არქიტექტურის, ინჟინერიის და გეოდეზიის ინსტიტუტში ჩატარდა ლექცია-სემინარები არქიტექტირთა საერთაშორისო კავშირის და საერთაშორისო აკადემიის ეგიდით, რომლებშიც ისეთ გამოჩენილ არქიტექტორებთან ერთად, როგორიცაა ამერიკელი დანიელ ლიბერსკინდი IAA-ს მთავარი პრიზის „ბროლის ვაზა“-ს წლევანდელი მფლობელი , მალტელი რიჩარდ ინგლენდი, იაპონელები ფუმიხიკო მაკი და რიკენ იამამატო, ფინელი იუჰანი პალლასმა, იტალიელები ალფონსო მერკურიო, ამადეო შიატარელა და პაოლო კუჩი, მექსიკელი ფრანცისკო სერანო და სხვები საავტორო ლექცია წაიკითხეს ბ-მა ვახტანგ დავითაიამ და ბ-მა თემურ ჯორჯაძემ.

არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირის ეგიდით ჩატარებული, ამ კავშირის სპეციალური „სულიერი სივრცეები“ კომისიის დისკუსიაზე „რელიგიური ტოლერანტობა, უმცირესობების ინტეგრაცია და არქიტექტურის პასუხისმგებლობის როლი “ მოხსენებით გამოვიდა ბ-ნი ნიკოლოზ აბაშიძე და მიენიჭა შესაბამისი IAA-ს სერტიფიკატი, საინტერესო თემისათვის „ტორელანტობისა და რელიგიური შემწყნარებლობის წარმოშობა და განვითარება, „ადგილის სული“ ძველი თბილისის და თანამედროვე რუსთავქალაქის ურბანულ მაგალითზე“.

მიმდინარე წლის 5 ივნისს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დიდ დარბაზში, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის მიერ მოეწყო გამარჯვებული არქიტექტორების და პროექტების პრეზენტაცია ფართო საზოგადოების წინაშე.

INTERARCH-2012

On May 13-16 Sofia hosted the 13th International Triennial INTERARCH'2012. Among the participants of Triennial events - exhibitions, discussions and lectures there were several Georgian architects and architectural schools.

INTERARCH Triennials are arranged for almost forty years already. Starting with 1987 this event, attracting the leading architects of the world, is organized under the umbrella of International Academy of Architecture. International Academy of Architecture (IAA) is the only architectural body accorded the status of UN consultant. IAA unites leading architects from over 40 different countries and has regional associations on all the continents. IAA's major international activity is organizing of international architectural conferences, competitions and exhibitions, global and regional seminars, meetings and symposiums in partnership with UNESCO, UNDTCD, UNCHS, UNEP, UNCED and other organizations.

In this year's Triennial, international jury distinguished Georgian architects in several nominations at once.

In nomination "Innovation and Traditional Architecture", covering realized and unrealized projects created during the last 3 years, Grand Prix of the Minister of Culture of Republic Bulgaria, INTERARCH Gold Medal and Honorary Diploma were awarded to Georgian architects **Archpriest Father Vissarion (Menabde),** IAA's Associate **Professor Nikoloz Abashidze** and **Nikoloz Dadiani** - authors of St. Mary of Assumption Church "Sioni" in Rustavi.

In nomination "Modern Architecture", special prize of the Embassy of Japan in Sofia, INTERARCH Silver Medal and Honorary Diploma were awarded to IAA academician **Vakhtang Davitaia** for an innovative and highly creative realized project - Public School in Gavazi Village.

In nomination "Architecture Monographs", Silver Medal was awarded to IAA's **Professor Shota Bostanashvili** and **David Bostanashvili** for the book "Butsa: Architect Victor Jorbenadze".

At the exhibition-competition of students' diploma projects, second prize and INTERARCH Silver Medal, as well as Honorary Diplomas of IAA and the Union of Architects of Bulgaria were awarded to six young Georgian architects. Considering such distinction of Georgian graduate students, special prizes - Gold Capitals and Honorary Diplomas, were awarded to deans of Georgian architectural schools - **Gocha Mikiashvili** and **Nodar Amashukeli.**

Tbilisi City Hall established a prize of its own for the first time in the last 10 years. This prize, INTERARCH Silver Medal and Honorary Diploma were awarded to Maltese architect Richard England for project "Open to the Sky Chapel".

Apart from exhibitions and competitions, Triennial included lectures and seminars, hosted by University of Architecture, Civil Engineering and Geodesy of Sofia. The series of lectures and seminars, supported by the International Union of Architects and the International Academy of Architects, were delivered by Daniel Libeskind (USA), Richard England (Malta), Fumihiko Maki and Riken Yamamoto (Japan), Juhani Pallasma (Finland), Alfonso Mercurio (Italy), Francisco Serrano (Mexico) as well as Vakhtang Davitaia and Temur Jorjadze from Georgia.

At the discussion "Religious Tolerance, Integration of Minority Groups and Responsibility of Architecture", organized by UIA's special commission "Spiritual Spaces", architect Nikoloz Abashidze delivered a report and was awarded an IAA Certificate for interesting theme "Origins and Development of Religious Tolerance" and "Spirit of the Place" (illustrated by examples of old Tbilisi and present-day Rustavi).

On June 5 2012 the Grand Hall of National Parliamentary Library of Georgia hosted presentation of award-winning architects and projects, organized by the Union of Architects of Georgia.

ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო

2012 წლის 18-22 ივნისს ევროპაში ჩატარდა მდგრადი ენერგეტიკის ყოველწლიური კვირეული. ამ კვირეულის ორგანიზატორები იყვნენ ევროკომისიის მთავარი დირექტორატი ენერგეტიკის დარგში, კონკურენტუნარიანობისა და ინოვაციების ევროპული სააგენტო და სხვა ევროპული ორგანიზაციები.

კვირეულის მიზანი იყო განახლებადი ენერგეტიკისა და ენერგოეფექტურობის განვითარების ხელშეწყობა, საზოგადოების ყურადღების მიპყრობა განახლებადი ენერგეტიკისა და ენერგოეფექტურობის ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური პოტენციალისკენ.

ამ კვირეულის ფარგლებში "ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო", მის პარტნიორთან BP - საქართველოსა და ტექნიკურ უნივერსიტეტთან ერთად, არქიტექტურის ბაკალავრიატის სტუდენტებსა და მაგისტრატურანტებს შორის განახორციელა საკურსო ნამუშევრების კონკურსი და გამოფენა თემაზე - "მდგრადი განვითარება არქიტექტურაში". პროექტის კოორდინატორი იყო ლიანა ღარიბაშვილი (ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო); საკონკურსო პერიოდში მუშაობდა საკოორდინაციო საბჭო შემადგენლობით: გოჩა მიქიაშვილი (სტუ-ს არქიეექტურის ფაკულტეტის დეკანი) ნინო ჩაჩავა (სტუ-ს არქიტექტურურის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი), ბელა თინიკაშვილი (სტუ-ს არქიტექტურურის ფაკულტეტის უფროსი მასწავლებელი)

კონკურსს მხარს უჭერდნენ:

ქ.თბილისის მერია, საქართველოს არქიტექტორთა კავშირი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და ჟურნალი „სტილი".

ნამუშევრები შეფასდა არქიტექტურული და ენერგოეფექტური კრიტერიუმებით. მათ შორის ყურადღება მიექცა :

შენობის ადგილმდებარეობას; მის ორიენტაციას ქვეყნის მხარეების მიმართ; ბუნებრივი რესურსების რაციონალურ შეგროვება-გამოყენებას; ეკოლოგიურად სუფთა და ენერგოეფექტური (მაღალი თერმული წინაღობის მქონე) სამშენებლო მასალების (სასურველია ადგილობრივი წარმოების და მეორადი) გამოყენებას, ეფექტური ენერგოდამზოგი გათბობის და გაგრილების სისტემების მონტაჟს; მწვანე სახურავის მოწყობას.

ჟიურის შემადგენლობაში შედიოდნენ გიორგი აბულაშვილი, ლიანა ღარიბაშვილი, (ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო) გოჩა მიქიაშვილი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი), ლევან ბერიძე (საქართველოს არქიტექტორთა კავშირი), თემურ ჯორჯაძე (თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია), ალექსანდრე რამიშვილი (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი), მამუკა სალუქვაძე (თბილისის მერია). მათ 16 ნამუშევრიდან შეარჩიეს ცხრა საუკეთესო.

საპრიზო ფონდი შეადგენდა 1000 აშშ დოლარს. ასევე იყო დაწესებული წამახალისებელი 3 პრემია.

წამახალისებელი პრემიით დაჯილდოვდნენ:

1. თამარ ბენაშვილი (სტუ) გადაეცა ჟურნალი „სტილი"
2. ნატა ნასიძე (სტუ)- წიგნით
3. გიორგი მელაძე (სტუ) -წიგნით

მეხუთე პრემია: თამუნა მენთეშაშვილი (სტუ)

მეოთხე პრემია: ალექსი ქითიძე. (სტუ)

მესამე პრემია : დავით ასანიძე (სტუ)

მეორე პრემია: ნიკოლოზ ბოკერია (სტუ)

პირველი პრემია: თამარ ტეხოვა, გურამ მამისაშვილი, სულხან ტაბატაძე, თინათინ ფაიქრიშვილი.გიორგი ყიფშიძე, ნინო ქობულაძე (ისუ)

ჟიურის სპეციალური პრემია გადაეცა ვასილ გიორგაძეს (სტუ).

ყველა მონაწილე დაჯილდოვდა დიპლომებით, მაისურებით და მზის ენერგიაზე მომუშავე სამაგრ-მანათობლებით.

თამარ ბენაშვილი
TAMAR BENASHVILI

Initiative by Energy Efficiency Center Georgia

Annual EU Sustainable Energy Week took place on June 18-22 2012. The event was organized by EU Directorate General for Energy, European Agency of Competitiveness and Innovation and other European organizations.

The goals of EUSEW were to promote development of renewable energy and energy efficiency and raise the public awareness on environmental, social and economic potential of renewable energy and energy efficiency.

Under the umbrella of EUSEW, Energy Efficiency Center Georgia together with its partners - BP Georgia and Georgian Technical University, organized competition "Sustainable Development in Architecture" for undergraduate and graduate student architects. The project was coordinated by Liana Garibashvili (Energy Efficiency Center Georgia); Coordination Board included Gocha Mikiashvili (dean of GTU Faculty of Architecture), Nino Chachava (associate professor at GTU Faculty of Architecture), Bella Tinikashvili (head teacher at GTU Faculty of Architecture).

The competition was supported by Tbilisi City Hall, Union of Architects of Georgia, Tbilisi State Academy of Arts, Ilia University and STYLE Magazine.

Competition entries were evaluated from the point of view of architecture and energy efficiency. Special attention was paid to such factors as building location and orientation, rational accumulation and utilization of natural resources, use of environment friendly and energy-efficient construction materials (preferably - locally produced or recycled), inclusion of efficient low energy consumption HIV systems and roofing.

Competition jury, which included Giorgi Abulashvili, Liana Garibashvili (Energy Efficiency Center Georgia), Gocha Mikiashvili (Georgian Technical University), Levan Beridze (Union of Architects of Georgia), Temur Jorjadze (Tbilisi State Academy of Art), Alexander Ramishvili (Ilia University) and Mamuka Salukvadze (Tbilisi City Hall), selected nine best projects from out of sixteen competition entries.

Monetary prize fund of the competition amounted to 1000 US Dollars. There were also three incentive prizes.

Incentive prizes were awarded to:

1. Tamar Benashvili (Georgian Technical University) - received a copy of STYLE Magazine
2. Nata Nasidze (Georgian Technical University) - received a copy of "Contemporary Architecture of Southern Caucasus"
3. Giorgi Meladze (Georgian Technical University) - received a copy of "Contemporary Architecture of Southern Caucasus"

Fifth place prize: Tmuna Menteshashvili (Georgian Technical University)

Fourth place prize: Alex Kitidze (Georgian Technical University)

Third place prize: David Asanidze (Georgian Technical University)

Second place prize: Nikoloz Bokeria (Georgian Technical University)

First place prize: Tamar Tekhova, Guram Mamisashvili, Sulkhan Tabatadze, Tinatin Paikrishvili, Giorgi Kipshidze, Nino Kobuladze (Ilia State University)

The jury awarded a special prize to Vasil Giorgadze (Georgian Technical University).

All the participants received diplomas, T-shirts and solar power flashlights.

ნიკა ბოკერია
NIKA BOKERIA

ალექსი ქიტიძე
ALEX KITIDZE


პირველი პრემია
FIRST PLACE PRIZE

დავით ასანიძე
DAVIT ASANIDZE

თამუნა მენთეშაშვილი
TAMUNA MENTESHASHVILI

ვასილ გიორგაძე
VASIL GIORGADZE

აჭარული ღვინის სახლი
Adjarian Wine House

INTERIOR AND LANDSCAPE DESIGN BY ARCHITECTS - TAMAR VALISHVILI AND KETEVAN SAMSONADZE. CUBIK STUDIO





ქეთევან სამსონაძე
დაიბადა 13.06.1986წ.
2007 წ. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტი.

თამარ ვალიშვილი
დაიბადა 27.09.1986.
2007 წ. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტი.

2007 წლიდან და არიან შ.პ.ს „კუბიკ სტუდიოს" დამფუძნებლები და პარტნიორები და უკვე ოთხი წელიწადია ერთობლივად მუშაობენ.

2012 წლის გაზაფხულზე აჭარისწყლის მიმდებარე ტერიტორიაზე, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, „აჭარული ღვინის სახლი" გაიხსნა. კომპლექსის წინ მდინარე ჩამოდის და გარშემო აჭარის ულამაზესი მთები აკრავს. ამოქმედდა პროექტი, რომელიც წელიწადში 10 000 ბოთლში ვარდისფერი ჩხავერის სახეობის ღვინოს ჩამოსხმას და რეალიზაციას გულისხმობს. უნიკალური და იშვიათი ჯიშის ჩხავერის ღვინოს სახელწოდებაა „პორტო ფრანკო". საკმაოდ საინტერესოა დანდშაფტის დიზაინი, რომელშიც პირდაპირ ჩართულია ღვინის თემა. შერწყმულია ერთმანეთში დამსვენებლისათვის განკუთვნილი ტერიტორია და ვენახის ზვრები.

ღვინის სახლის ირგვლივ ტურიზმისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა იქმნება, იმუშავებს ასევე სპეციალური ღვინის ტურის პაკეტები, რომლის ფარგლებშიც ტურისტს შესაძლებ-

ლობა ექნება ღვინის დაგემოვნებასთან ერთად ღვინის დაკრეფასა და დაწურვაშიც მიიღოს მონაწილეობა.

„აჭარული ღვინის სახლი“-ის ინტერიერის და ლანდშაფტის დიზაინის პროექტი არქიტექტორების, თამარ ვალიშვილის და ქეთევან სამსონაძის მიერ (შ.პ.ს „კუბიკ სტუდიო“) შესრულდა. ინტერიერი ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გამაერთიანებელია. აქ შესაძლებელია ღვინის სადეგუსტაციო ოთახების, მარნის, ღვინის საცავების, და სხვადასხვა საინტერესო სივრცის თანამედროვედ გადაწყვეტილი დიზაინი იხილოთ, დაისვენოთ, ლამაზი ხედებით დატკბეთ და დააგემოვნოთ საუკეთესო ღვინო. ეს ყველაფერი ერთად საუკეთესო პირობაა დამსვენებლების მოსაზიდად და ამიტომაც „აჭარული ღვინის სახლი“ ერთ-ერთი აქტიური ადგილი გახდა აჭარის რეგიონში.





დღევანდელი რეალიები -

ამაღელვებელი ან მოსაწყენია, მათში გაურკვეველია, როგორც შორეული, ასევე ახლო მომავლის შტრიხები. ვინ განსაზღვრავს არსებული მატერიალური თუ სულიერი ფასეულობების ბედს და რამდენად რეალურია იგი დღეს?

თანამედროვე არქიტექტურული მოცულობის განხორციელებისას, ნიშნობრივი კლასიკური ელემენტების პროფესიონალურად შერწყმა ასეთივე ნიშნობრივ თანამედროვე ნიუანსებთან, არქიტექტურის ერთ-ერთი საინტერესო მეთოდია. და მითუმეტეს, პროფესიონალისათვის, არაორდინალურ არქიტექტონიკაში ერთიანი ინტერიერული სივრცის შექმნა, რომელიც საქმიანი თუ სასიამოვნო ურთიერთობებისთვის განგვაწყობს არანაირ სირთულეს არ წარმოადგენს.

საბედნიეროდ, ჩვენთან არიან საერთაშორისო კლასის, მაღალი ესთეტიკური დონის არქიტექტორ-პროფესიონალები, რომელთა შორის, ერთ-ერთი ნინო ახვლედიანია. იგი იმ არქიტექტორ-დიზაინერთა პლეადას მიეკუთვნება, რომელიც პროფესიული სიახლეების ათვისებისას, არქიტექტურის თუ დიზაინის თანამედროვე ენის ძიების პროცესში აყალიბებდა თავის შემოქმედებით სტატუსს.

შემოქმედის არქიტექტურაში ჩანს არაჩ-

ნინო ახვლედიანი
NINO AKHVLEDIANI





ვეულებრივი დამოკიდებულება მასალასთან, ფორმასთან, ფერთან, გარემო ანტურაჟთან. თვალშისაცემია, მოცემული სივრცის ერთიანი მოცულობით-სივრცობრივი კომპოზიცია მასში ცალკეული დეტალების პლასტიკის გამდიდრება და პირიქით.

წარმოდგენილი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის ექსტერიერის (მოცულობის ავტორი, არქიტექტორი გაგა კიკნაძე) აღქმა, პირველ რიგში, ესთეტიკურ სიამოვნებას გვანიჭებს, რასაც ქალაქგეგმარებითი ჩანაფიქრის მოცულობითობა, ობიექტისათვის ზუსტი ადგილის შერჩევა, კომპოზიციის სივრცობრივი წყობა, ტექნიკისა და ნაგებობის ფუნქციური სტრუქტურის ახალი, პროგრესული სინქრონი განაპირობებს. სახლის ინტერიერული სახის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა ნინო ახვლედიანის პროფესიონალიზმმა. საცხოვრებლის ერთიანი ინტერიერული სახე თანამედროვე და სტილისტური დეკორის მოტივებით, მოცულობითი და პლასტიკური გადაწყვეტებით, არქიტექტურული რითმებითაა მიღწეული. ყოველი შტრიხსა და ნიუანსში, მათ ტონალობასა და სივრცეში გადანაწილებაში დახვეწილი გემოვნება ჩანს. თავისუფლად ფორმირებულ ინტერიერში თითოეული დეტალი ექსკლუზიური და აქცენტირებულია. ულტრათანამედროვე ხაზები და ფორმები, ცალკეული ნიუანსებითაა შერბილებული. ყოველი დეტალი ისეთივე ყურადღებას იპყრობს, როგორც განსაკუთრებული მოვლენა, როგორც ფილმის საინტერესო ფრაგმენტი, როგორც მსახიობი სცენაზე.





Present-day Realia -

Present-day realia can be exciting or boring, obscure or revealing some signs of far or near future. Who could predict the destiny of present-day material or spiritual values and how true these values are today?

Professional integration of classical and modern signage is one of the most interesting methods applied in modern architecture. Still another professional challenge is to design unordinary spaces motivating people for comfortable businesslike or leisure relationships. Fortunately, there are high-class professional architects in Georgia, who can cope with such endeavors, and Nino Akhvlediani is one of them. She belongs to the pleiad of architect-designers who developed their creative standing by mastering professional innovations and trying to find the right expression to the modern design language.

Nino Akhvlediani's architecture manifests unusual attitude toward material, form, color and natural surroundings. It is surprising how her compositions are enriched by flexibility of their individual details and vice versa.

Design of single-family house exterior presented here (construction author - architect Gaga Kiknadze) is first of all highly aesthetic, and this is caused by the scale of urban planning solution, precise selection of construction site, spatial structure of the composition, and innovative, progressive synchronism of technology and functional structure. Exterior image of the house is largely due to Nino Akhvlediani's professionalism. Integrity of design is achieved by application of modern and stylized decor motives, sculpturesque spatial solutions and intricate architectural rhythms. Design, tonality and location of exterior nuances reveal refined taste. In the free-flowing design all the details are exclusive and accentuated. Ultramodern lines and forms are softened by elegant motives; every object attracts the attention worthy of a special phenomenon, an interesting fragment of a movie or an actor on the stage.







ერთი კაცის სახლი

„ფენშუის მიხედვით, ნებისმიერ სახლშია საგნები, რომლებიც დადებით ენერგიებს აღძრავენ და ამ აურას მთელ სახლში ასადგურენებ“ - სწორედ ამ ფრაზის გათვალისწინებით შექმნა არქიტექტორ-დიზაინერმა ნინო ახვლედიანმა 86 მეტრ კვადრატი ფართობის არსტანდარტული, სწორხაზოვანი სტუდიო ტიპის ბინა, რომელსაც თავად ნინო ერთი კაცის სახლს უწოდებს.

საცხოვრებელში, გეგმარებითი გადაწყვეტის ლაკონიზმი, ბუნებრივი მასალებისადმი თუ დეტალებისადმი უნატიფესი დამოკიდებულებით კომპენსირდება. მათი ვირტუალიზაცია დიზაინის სტილის განმსაზღვრელი ხდება. მოსაპირკეთებელი მასალის ფაქტურამ ერთიანი, ნათელი სივრცე შექმნა. თბილი, ფერები ამრეკლავ ზედაპირებს ჰარმონიულად ერწყმის. სხვადასხვა მონაკვეთების მობილური დიზაინი შემომსაზღვრელი სიბრტყეების ტონალობითაა გაწონასწორებული. ინტერიერი, თითქოს შიგნიდან ნათდება განსაკუთრებული, მისეული შუქით, რასაც დეტალების, აქსესუარების, ავტორის მიერ შექმნილი ავეჯის თუ დეკორატიული ნაკეთობების, ბუნებრივი და ხელოვნური განათების სინქრონი აღრმავებს, და არა მხოლოდ - საკმაოდ საინტერესოა შემოსავლელ ზონაში არსებული სარკის უკან ჩამალუ-



















ლი კარადაც, მის ორიგინალურ ტექნოლოგიაზე საავტორო უფლება თავად ნინოს ეკუთვნის. საერთო ოთახს საძინებლისგან მასიური კარები გამოჰყოფს. მწვანე, საფირონის ფერი ხის სამზარეულო ფენშუის სტილს მშვენივრად შეეფერება. საძინებელში ფიუზინგის ტექნიკით შესრულებული, დიზაინერის იდეით შექმნილი ულამაზესი ვიტრაჟებია. ხე, მეტალი, მარმარილო, გრანიტი... მათგან შექმნილი მობილური ფორმები მეტად ფაქიზად რეაგირებენ ნებისმიერ ცვლილებებზე.

საცხოვრებლის ინტერიერული გარემო, პროფესიონალის ძალისხმევით ზუსტად „მოერგო“ დამკვეთის ხასიათს - საცხოვრებელი მისი მეპატრონის პიროვნების „სავიზიტო ბარათია“, უსაყვარლესი დასასვენებელი ადგილია.

პროექტის ავტორის ჩანაფიქრი გამართლდა. მან იცის, რომ მისი ხელოვნება მხოლოდ ნაწილია უფრო მეტად მნიშვნელოვანი საქმეებისა და რაც უნდა უცნაურად ჟღერდეს, ამაშია სწორედ მისი შემოქმედებითი ძალის დასაბამი.

One Man's Home

"According to Feng Shui, every house contains objects inciting favorable energies and spreading positive aura" - this principle guided architect-designer Nino Akhvlediani while she designed the interior of a rectangular 86 sq. m. studio apartment, which she nicknamed "One Man's House".

Laconic planning of the apartment is compensated by careful attitude toward natural decoration materials and accessories. Their virtualization defines the overall design style. Texture of facing materials helped create an integral, light space. Mobile design elements are balanced by tonality of delimitative surfaces. The interior seems to radiate some special inner light; its depth is accentuated by details, accessories, individual furniture, combination of natural and artificial lighting. It is interesting to look at the wardrobe, hidden behind the mirror in the entrance area - the copyright on its original technology belongs to Nino. Living room is separated from the bedroom by a massive door. Sapphire-green wooden kitchen furniture perfectly matches Feng Shui stylistics. The bedroom boasts beautiful fused stained glass windows (this exclusive idea also belongs to the author of interior design). Wood, marble, granite… Mobile forms created with these materials sensitively react to every change.

The environment, professionally formed in this interior, is tailored to the client's character - the apartment is a representation of the owner's personality, his sanctuary.

The plan of project author proved its value. Nino Akhvlediani knows that her art is just a part of more important things and, however unusual it might seem to you - this is the source of her creative power.













HANSA ნაციონალური ხარისხის ნიშნიდან მსოფლიო მასშტაბით წარმატებულ პრემიუმ კლასის ბრენდამდე 1911 წლიდან

ნებისმიერ სანტექნიკურ ფიტინგს (სამზარეულოს და აბაზანის შემრევები, საშხაპე სისტემები და. ა.შ) მისი დანიშნულებიდან გამომდინარე მაღალი მოთხოვნები წაეყენება: ის უნდა იყოს გამძლე, არ უნდა ითხოვდეს განსაკუთრებულ მოვლას, ქონდეს ესპლუატაციის ხანგრძლივი ვადა და დახვეწილი დიზაინი.

HANSA ეს არის მსოფლიო ბრენდი რომელიც ყველა ამ მოთხოვნას აკმაყოფილებს.

Hansa-ს ისტორია 1911 წელს დაიწყო, როდესაც კარლ გოჰრინგმა (Karl Gцhring) დააარსა კომპანია "Stanz and Presswerk GmbH Zuffenhausen", იმ პეროდში კომპანია წარმოადგენდა საოჯახო ბიზნესს - კარლ გოჰრინგი თავის შვილებთან ერთად აწარმოებდა სხვადასხვა სახის შემდუღებელ სამუშაოებს, 2 წლის განმავლობაში მათ საკმაო წარმატებას მიაღწიეს... შტუდგარტში გადაინაცვლეს და გახსნეს ახალი ოფისი. 1917 წელს კარლ გოჰრინგის კომპანია გაერთიანდა "Apparatebau Hansa GmbH"-თან რომელიც აწარმოებდა ავტომობილების, თვითმფირანვების და მანქანა-დანდგარების შემადგენელ ნაწილებს. გაერთიანება ძალიან წარმატებული აღმოჩნდა - 1921 წელს კომპანია გახდა სააქციო საზოგადოება და მას შემდეგ ფუნქციონირებს როგორც "Hansa Metallwerke AG".

მსოფლიოში პირველი ერთსახელურიანი შემრევი

Hansa-ს სათაო ოფისი დღესაც შტუდგარტშია განთავსებული, საწარმოები კი პატარა ბავარიულ ქალაქ ბურგლენფელდში და ქალაქ ნეტეტალში მდებარეობს, კომპანია ამაყობს იმით, რომ წლების განმავლობაში წმინდა გერმანული წარმოება აქვს.

Hansa Metallwerke AG-მ სანტექნიკური ფიტინგების (სამზარეულოს და აბაზანის შემრევები, საშხაპე სისტემები და. ა.შ) წარმოება1950 წლიდან დაიწყო, გასული 10-წლეულების განმავლობაში ფირმის დამფუძნებლის შვილებმა და შვილიშვილებმა ეს ტრადიციული საოჯახო წარმოება გადააქციეს ძლიერ, ბაზრის აღიარებულ ლიდერ კორპორაციად.

„ბაზარზე საუკეთესო ხარისხის პროდუქტის მიწოდება: ეს არის მიზანი, რისთვისაც ჩვენ ათწლეულების მანძილზე ვიღწვით, რითაც ვართ გატაცებული და რასაც ვახორციელებთ ცხოვრებაში" - ეს Hansa-ს დამფუძნებლის

კარლ გოჰრინგის სიტყვებია და დღესაც კომპანიის დევიზს წარმოადგენს.

Hansa-ს ფიტინგები ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი ფუნქცონალურობით, ხარისხით და სრულყოფილი დიზაინით. Hansa-ს პროდუქციის უმაღლეს ხარისხს ადასტურებს „მარკტ ინტერნ"-ის გერმანიის სანიტარო-ტექნიკური ინდუსტრიის ოფიციალური საინფორმაციო სამსახურის მიერ ჩატარებული ყოველწლიური გამოკითხვის შედეგები რომლის მიხედვითაც ჰანსა აირჩიეს „ პროფესიონალების №1 პარტნიორად" და „ სპეციალიზებული ვაჭრობის №1 პარტიორად" – ეს არც არის გასაკვირი, Hansa წლების განმავლობაში ინარჩუნებს საუკეთესო ხარისხს და უკვე 17 წელია ზედიზედ გერმანელი სანტექნიკების საყვარელი ბრენდია.

დღეისათვის Hansa კორპორაციაა, რომელიც ასაქმებს 1100 ზე მეტ ადამიანს მთელი მსოფლიოს მაშტაბით და ოპერირებს მსოფლიოს 50 ქვეყანაში, ამ ქვეყნებს წელს კიდევ ერთი ქვეყანა - საქართველო შეემატა, Hansa-ს ექსკლუზიური წარმომადგენელი საქართველოში შ.პ.ს „დეკორუმი"-ა, „დეკორუმი" ასევე არის Villeroy&Boch-ის და მოფლიოში ცნობილი რამდენიმე ბრენდის ექსკლუზიური წარმომადგენელი საქართველოში.

HANSA სახელს უკავშირდება საკმაოდ მნიშვნელოვანი ინოვაციები სანტექნიკის სფეროში, 1962 წელს Hansa-მ პირველად მსოფლიოში წარადგინა ერთსახელურიანი შემრევი რამაც ბევრად გაამარტივა ცხელი და ცივი წყლის რეგულირების პროცესი.

1971 წელს Hansa-მ კიდევ ერთხელ გააკვირვა მსოფლიო, როდესაც წარადგინა თერმოსტატი Hansamat, რომელიც გაყიდვების ჰიტად იქცა, ეს თერმოსტატი ინოვაციური სისტემით მუშაობდა... ჰანსამ დღეს სრულყოფამდე მიიყვანა ეს სისტემა სხვა თერმოსტატებისგან განსხვავებით ჰანსას თერმოსტატების გარე ნაწილი პრაქტიკულად არ ცხელდება, რაც ბევრად მოსახერხებელს და უსაფრთხოს ხდის მის გამოყენებას.

1979 წელს შექმნა შემრევი კერამიკული დისკებით, რამაც გაზარდა ჰანსას შემრევების ექსპლუატაციის ვადა და ხარისხი. Hansa-ს ფიტინგებს 5 წლიანი გარანტია აქვს.

1997 წელს წარადგინა Hansaeco - შემრევი, რომელსაც გააჩნია 2 დონიანი წყლის მიწოდების სისტემა და ამცირებს წყლის ხარჯს დაახლოებით 40%-ით. ეს სისტემაც მაქსიმალურად დაიხვეწა და დღესაც აქტირურად გამოიყენება Hansa-ს მიერ.

2000 წლიდან ახალი ერა დაიწყო Hansa-ს ისტორიაში - 2000 წლიდან დღემდე წარმოდგენილი იქნა რამდენიმე სანტექნიკური ხაზი, რომელმაც გერმანულ კომპანიას მოუპოვა რეპუტაცია - „საუკეთესო საუკეთესოთა შორის".

Hansadesigno - უნიკალური დიზანის და თვისებები მქონე შემრევების სერია, რომელიც 50% ამცირებს წყლის ხარჯს და აქვს წყლის ტემპერატურის კონტროლის მექნიზმი.

Hansaronda და Hansamix - ფასი-ხარისხის საუკეთესო შეფარდებით გამოირჩევიან, ეს შემრევები ყველაზე გაყიდვადი შემრევებია გერმანიაში.

HansaMedica - ეს არის შემრევების ერთადერთი სერია რომელიც გამოიყენება გერმანიის საავადმყოფოებში, მისი უნიკალური ანტიბაქტერიული თვისებების და მოსახერხებელი დიზანის გამო.

2003 წელს ახალი, მაღალტექნოლოგიურ დონეზე შემუშავებული სერიების Hansamurano-ს შექმნამ საფუძველი ჩაუყარა ახალ, მსოფლიოში ცნობილ შემრევების სერიას, რომელმაც მიიღო დასახელება Wasser Erleben - წყლის განცდა.

Wasser Erleben Hansa-გან ეს არის შესანიშნავი, თავისი მახასიათებლებით და დიზაინით, ფუნქციონალური სანტექნიკური სერია, რომელმაც შეიტანა გარდატეხა ამ სფეროს განვითარების ისტორიაში.

კომპანია Hansa პირველად აქცევს ყურადღების ცენტრში, არა მხოლოდ შემრევის დიზაინს და ფორმას, არამედ წყლის გაფორმებას - სპეციალურად შექმნილი ახალი ტიპის აერატორებით, რომელიც ფორმას აძლევს წყლის ნაკადს, ფერადი ვიზუალიზაციით და წყლის ინსცენირებით.

Hansamurano - პირველი სავაჭრო ნიშანი პრემიუმ-კლასის სანტექნიკური არმატურის Hansa-გან, გამოშვებისთანავე იქნა აღნიშნული რამოდენიმე პრემიით დიზაინის მაღალი დონის გამო. 2 წლის შემდეგ 2005 წელს - Hansa-მ შემოგვთავაზა სააბაზანოს შემრევების 4 სერია: Hansacanyon, Hansamotion, Hansaronda Style და Hansamurano E. ეს შემრევები ასევე იქნა აღნიშნული სხვადასხვა პრემიებით დიზანის მაღალი დონის გამო.

2010 წელს იქნა წარმოდეგენილი საშხაპე სისტემა Hansacoloursshower საშხაპე ყურმილში ჩაშენებული დიოდური ელემენტებით, რომლებიც უზრუნველყოფენ განათების ეფექტებს ცისარტყელის ფერებში, ჰანსას წარმოების მაღალი ტექნოლოგიური დონე.

მაღალტექნოლოგიური ხაზების გარდა ჰანსა მაქსიმალურად ავითარებს პროდუქციას, რომელიც ხელმისაწვდომია არა მარტო პრემიუმ სეგმენტის, არამედ ნებისმიერი მომხმარებლისთვის. მაგალითად ისეთი სერიები როგორიცაა HansaPolo და HansaPico, **მათი ფასი სულ რაღაც 160 ლარიდან იწყება**, ეს იმის გათვალიწინებით, რომ მათზე ისევე როგორც Hansa-ს სხვა პრო-



დუქციაზე ვრცელდება 5 წლამდე გარანტია და დამზადებულია უმაღლესი ხარისხის კოროზიისადმი მდგრადი ლატუნის MS 63 შენადნობისგან.

სრულყოფილება უმცირეს დეტალებამდე - ეს დამახასიათებელია ჰანსას ნებისმიერი პროდუქტისთვის. ამასთან ერთად ეს იქნება ქრომი, ლატუნი, 1 თუ 2 ფერიანი ვარიანტები, ჰანსას ყურადღების ცენტრში ყოველთვის არის გამოყენების სიმარტივე. რადგან ერგონომიული დიზიანი და მაღალი ექსპლუატაციური სანდოობა ბევრად ამარტივებს ყოველდღიურ ცხოვრებას.

ხანგრძლივი ექპლუატაციის ვადის, "ფასი-ხარისხის" საუკეთსო შეფარდების, წმინდა გერმანული წარმოების და მაღალი დონის სერვისის გამო ჰანსა დამსახურებულად სარგებლობს რეპუტაციით - "საუკეთესო საუკეთესოთა შორის".

Villeroy&Boch-ის შოურუმი თბილისში



კომფორტს სახლში მყუდროება განაპირობებს



დიზაინერი ნინო ჟღენტი
DESOGNER NINO JGENTI

განწყობა შექმნილია. დიზაინერის სახლში შედიხარ და პოეტური გარემო გხვდება: ხავერდოვან სტაფაჟშია ჩაფლული ინტერიერი, სადღაც წარსულში, რომ დაგაყავხარ და ოჯახის „სულს“ გაცნობს. მიუხედავად ახალი დეტალებისა სახლში სიძველეებით მოცული მყუდროება სუფევს. ინტერიერი ეკლექტურია, სტილისტურად, ალბათ კიტჩი. „კიტჩი ის სტილია, ყველას რომ მოგვწონს და გვერიდება ამის აღიარება, - მე კი სწორედ ეს მიყვარს – შერეული,..“ - ამბობს დიზაინერი ნინო ჟღენტი. მართლაც აქ ერთგვარი ვინტაჟია - საგვარეულო ავეჯი – ბებიების ნაქონი კარადა, სკამი, ლარნაკები, ნახატები, ნინოს მიერ შეძენილი თუ შექმნილი და აღდგენილი ნივთები, განსაკუთრებით - ძველი სკივრები, რომლებიც დიზაინერის მიერ არის რესტავრირებული და განუმეორებელ ელფერს აძლევს ინტერიერს.





აქ არის ნივთები, რომლებსაც ერთი შეხედვით დანიშნულება არა აქვს, უბრალოდ ლამაზია: ქანდაკებები, ქვები, ჩარჩოები, ფარდაგები. აქ შეიძლება იდოს ნივთი, რომელიც არც კი მოსწონთ, მაგრამ უყვართ მეტად... ბევრია ძვირფასი ადამიანების საჩუქარი.

დიზაინერისთვის კომფორტს სახლში მყუდროება განაპირობებს. სწორედ ამიტომ, ნინო, საკუთარ თავს კომფორტის დიზაინერსაც უწოდებს. დაუჯერებელია, მაგრამ მან ტიპიური, ე.წ. „ხრუშჩოვკის“ ბინა კომფორტულ აპარტამენტად აქცია. ინტერიერში, ჯადოსნური სივრცის განუწყვეტელი „მოძრაობით“ და ეფექტური გადასვლებით პლასტიური ერთიანობაა მიღწეული, რომელიც დამკვირვებელის მოძრაობასთან ერთად მუდმივად იცვლება.... და ნინოს მიერ დადგმული სცენარით მეტად საინტერესოდ მიმდინარეობს ოჯახის წევრთა ცხოვრება თბილისის ერთ-ერთი ჩვეულებრივი სახლის პატარა საცხოვრებელში.

ფოტო: ანანო პაიჭაძე







Comfort At Home Formed By Peaceful Atmosphere

Velvety interior of this house transports you into the past and tells you about the spirit of the family which lives here. In spite of contemporary details, the house is saturated with vintage comfort. The interior is eclectic, probably not far from stylistic kitsch. "Kitsch is what we all like and feel ashamed to acknowledge - and this is what attracts me…" - says designer Nino Jgenti. And indeed - the space is filled with a diversity of vintage objects - grandmother's cabinet, a stray chair, old vases, antique chests, bought and restored by Nino and adding a unique tonality to interior design. Some things you will find in this house seem to have no particular purpose except to decorate: statuettes, stones, frames, draperies… things not used, but loved, presents brought by friends…

For a designer, comfort at home is formed by peaceful atmosphere. This is why Nino calls herself a comfort designer. It may sound unbelievable, but she transformed a standard Khrushev-design flat into a very cozy living space. Flexible integrity of the interior is achieved by constant motion and efficient transitions, which flow and change as the viewer moves… And Nino's design provides a very interesting background setting to the life of a family in a small apartment in an ordinary Tbilisi apartment block.

PHOTO BY ANANO PAICHADZE











ონკანი - პურავიდა

ახალი კომფორტი PuraVida

შპს „დემასი“ თბილისში 2000 წელს დაფუძნდა და უკვე 11 წელია, რაც სამომხმარებლო ბაზარზე წარმატებით ფუნქციონირებს.

კომპანია „დემასი“ ევროპისა და აზიის ქვეყნებიდან იმპორტირებული პროდუქციის ფართო არჩევანს გთავაზობთ. კერამგრანიტი (გარე და შიდა მოპირკეთებისათვის), კერამიკული ფილა, მოზაიკა, წებოცემენტი, ლამინირებული იატაკი, პარკეტი, შეკიდული ჭერი, კერამიკული სანტექნიკა, შემრევი ონკანები, აბაზანის ავეჯი, აბაზანა ჰიდრომასაჟით და აბაზანა ჰიდრომასაჟის გარეშე, საშხაპე კაბინები, აბაზანის აქსესუარები და ა.შ. – ეს ყველაფერი კომპანია „დემასის“ სავაჭრო ცენტრებში შეგიძლიათ შეიძინოთ. საგამოფენო დარბაზში წარმოდგენილი სააბაზანო ოთახების იმიტაცია მომხმარებელს არჩევანის გაკეთებას უადვილებს.

გალერეა „დემასი“ მომხმარებელს სთავაზობს ისეთ ევროპულ ბრენდებს, როგორიცაა: „სერამიკას აპარისი“, „აპავისა პორსელანიკო“, „ვივა სერამიკა“, „ბიზაცა მოზაიკო“, „ლაუფენი“, „როკა“, „ტეუკო“, „ჰანსგროე“ და სხვ.

კომპანიის ერთ-ერთი წამყვანი და პრესტიჟული ბრენდია– „ჰანსგროე“.

კომპანია ჰანს გროემ ჯერ კიდევ 1901 წელს ჩამოაყალიბა გერმანიაში. მაშინ იგი ქსოვილებით ვაჭრობდა და, ალბათ, ვერც კი

ონკანი - პურავიდა



ონკანი, საშხაპე ყურმილი - პურავიდა

წარმოიდგენდა, უზარმაზარი იმპერიის საფუძვლების ჩამყრელი თუ იქნებოდა.

1899 წელს ჰანსი საცხოვრებლად შვარცვალდში გადადის, 2 წლის შემდეგ კი რკინის სამჭედლო სახელოსნოს აყალიბებს. დროთა განმავლობაში სპეციალიზდება სანტექნიკის ნივთების წარმოებაში. სწორედ მეოცე საუკუნის დასაწყისში გადადგმული ეს ნაბიჯი გახდა სააბაზანო აღჭურვილობის სფეროში კომპანიის მსოფლიო ლიდერობის საფუძველი. მეოცე საუკუნის შუა ხანების გერმანიის ფართო მასებისათვის საკუთარი სააბაზანო ოთახი წამოუდგენელ ფუფუნებად ითვლებოდა, ჰანს გროე კი საშხაპე ყურმილს მის მისაღებ ალტერნატივად თვლის. ამიტომაც სახელოსნოში მეტალის საშხაპე ყურმილების ფართო ასორტიმენტი ჩნდება. სწორედ ასე იქცა ჰანს გროე გერმანიის სანტექნიკის წარმოების მამამთავრად.

კომპანიის დამფუძნებელი ჰანსი 82 წლის ასაკში კიდევ ერთ ინოვაციას სთავაზობს მომხმარებელს და იგონებს საშხაპე ყურმილის დასამაგრებელს, რათა ბანაობა უფრო კომფორტული და მარტივი გახდეს. ახლა ყურმილის დასამაგრებელი აბაზანაში, რა თქმა უნდა, სტანდარტულ აღჭურვილობად ითვლება, მაგრამ 1953 წელს ეს იყო გენიალური გამოგონება სანტექნიკის სფეროში.

1968 წლიდან დღემდე კომპანიას სათავეში ჰანსის უმცროსი შვილი კლაუს გროე უდგება, რომელიც, ფაქტობრივად, პიონერად ითვლება სანტექნიკის სფეროში ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების შემოტანისა და წყლის ეკონომიურად მოხმარების სხვადასხვა ინოვაციური პროდუქციის გამოგონების თვალსაზრისით. უკვე 33 წელია, კლაუს გროე შეუწყვეტლივ მოღვაწეობს მამის მიერ დაფუძნებულ კომპანიაში.

დღესდღეობით კომპანია მსოფლიო მასშტაბით 3 200 თანამშრომელს ითვლის, რომელთაგან უმრავლესობა, რა თქმა უნდა, გერმანიაში მუშაობს.

„ჰანსგროე“ გათვლას მსოფლიოში ცნობილ სახელებსა და გვარებზე აკეთებს და საკუთარ კომპანიაში სახელოვან დიზაინერებსა და არქიტექტორებს იწვევს. კომპანიის მიზანია, თითოეულმა დიზაინერმა თავისი პირადი კონცეფცია შეიმუშაოს, რათა მომხმა-

საშხაპე ყურმილი - პურავიდა

ონკანი - პურავიდა

რებელს ჰქონდეს ფართო არჩევანი და მის ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებდეს.

„ჰანსგროეს“ დიზაინი კომპანიის განმასხვავებელ მთავარ კრიტერიუმად ითვლებოდა. „ჰანსგროე“ აღიქმება როგორც საშხაპე მოწყობილობებისა და სააბაზანო ოთახების ინოვაციური იდეების ავტორი, საერთაშორისო დიზაინის სტანდარტების მაღალ დონეზე შემსრულებელი და „ნოუ-ჰაუ“ წყლის რესურსების სფეროში.

„ჰანსგროეს“ ერთ-ერთი ხაზის – „სწრაფი წმენდა“ – წყალობით, საშხაპე ყურმილები და ონკანები, რომლებიც აღჭურვილია წყლის წმენდის უნიკალური ტექნოლოგიით, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მიღებას უზრუნველყოფს. ამ ტექნოლოგიის წყალობით პროდუქციის წყლის ნადებისგან წმენდა არანაირ სირთულეს არ წარმოადგენს და ხელის მარტივი მოძრაობით შეიძლება გასუფთავება და, შესაბამისად, პროდუქციაც გაცილებით დიდხანს გვემსახურება.

„ჰანსგროეს“ ერთ-ერთი გამოგონებაა „კომფორტული ზონა“. ამ ხაზის დამუშავებისას ტექნიკოსებმა და დიზაინერებმა გათვალეს ყველა დეტალი – ამ მოდელის ზომებიცა და ტექნოლოგიაც, დიზაინი კი ორიგინალობით გამოირჩევა.

მათ კი, ვისაც წყლის პროცედურებისგან მაქსიმალური სიამოვნების მიღება სურს, „ჰანსგროე“ 100-დან 600 მმ-მდე დიამეტრის საშხაპეებს სთვაზობს. ასეთ გრანდიოზულ შემოთავაზებას კომპანია „XXL პერფომანსს“ უწოდებს. ამ კატეგორიის საშხაპე მოწყობილობა, ზომის მიუხედავად, უახლესი ტექნოლოგიების წყალობით უზრუნველყოფს წყლის რაციონალურად ხარჯვას.

კომპანიის დიზაინერებმა შეიმუშავეს სხვადასხვა კონცეფცია და მყიდველს სთავაზობენ როგორც ავანგარდულსა და ელეგანტურს, ისე საშხაპე აღჭურვილობის კლასიკურ ნამუშევრებს. მომხმარებლის გემოვნებით შერჩეული საბაზანო უნდა გახდეს რელაქსაციის განუმეორებელი საშუალება და ხაზს უსვამდეს მის ინდივიდუალურობას.

„ჰანსგროეს“ ერთ-ერთი ხაზია „პურავიდა“. PuraVida - ეს არის ახალი კომფორტი საბაზანო ოთახში.

განუმეორებელი ემოციურობა

ბრენდის Hansgrohe პროდუქციის ხაზი PuraVida ახალ სტანდარტს აწესებს დიზაინისა და ფუნქციურობის სფეროში. ფორმების, დიდებული პლასტიკისა და ინოვაციური ტექნოლოგიების წყალობით, PuraVida-მ უამრავი საერთაშორისო დიზაინერული ჯილდო მოიპოვა. კომფორტი, სინატიფე და ინტუიციის დონეზე დაყვანილი მოხმარების სიმარტივე კვლავ და კვლავ აღძრავს აღტაცების განცდას.

PuraVida – თეთრი ფერისა და ქრომის მსუბუქი შეხამება

უნიკალური დაფერვის (DualFinish) წყალობით, PuraVida-ს სააბაზანოს დიზაინში ახალი განზომილება შემოაქვს. დაფერვის ორიგინალური „უნაკერო“ ტექნიკა ნიღბავს ზედაპირზე სხვადასხვა ფერითი ველების გადაკვეთის ხაზს და ეფექტურად წარმოაჩენს ქრომის კეთილშობილ ბზინვარებას და თეთრი ფერის სიქათქათეს. PuraVida-ს პროდუქტების კოლექცია შეიცავს ნიჟარის, აბაზანის და ბიდეს შემრევებს, ხელის შხაპს, დაკიდულ შხაპებს და კე-

ონკანი - პურავიდა


ონკანი - პურავიდა

დლებში ჩასამონტაჟებელ ფრქვევანებს, შხაპის ციფრული მართვის სისტემებს და აქსესუარებს.

PuraVida – ტექნიკური ინოვაციები

ხელის შხაპის ახალი ფუნქცია EasyClick საშუალებას აძლევს მომხმარებელს ღილაკის ერთი დაჭერით შეცვალოს ჭავლის ტიპი (სულ ასორტიმენტში ჭავლის სამი რეჟიმია). კიდევ ერთი სიახლე: რეჟიმი Caresse ააქტიურებს ხუთ მოძრავ ინტენსიურ ჭავლს, რომლებიც სათუთი, რბილი მასაჟის ეფექტს ქმნიან.

ნიჟარის შემრევებში შეგიძლიათ დაარეგულიროთ ჭავლის დინების კუთხე - ამისთვის საკმარისია სასურველი მიმართულებით მიატრიალოთ ონკანი. ამგვარად, თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ წლის ჭავლი სადაც გინდათ და თავიდან აიცილოთ ზედმეტი შხეფები.

გარეგნული სილამაზის გარდა, PuraVida-ს კოლექცია ასევე გამოირჩევა გარემოს დაცვითი თვისებებით: შემრევები აღჭურვილია სისტემით EcoSmart, რომელიც საგრძნობლად ამცირებს წყლის და ენერგიის ხარჯვას.

ტექნოლოგია AirPower შხაპის მიღებას დაუვიწყარ შთაბეჭდილებად აქცევს და წყლის ჭავლს ეფექტურობას მატებს.

PuraVida – კომფორტის უჩვეულო შეგრძნება

სახელურზე მსუბუქი შეხება - და ონკანიდან გადმოიფრქვევა წყლის დიდებული ჭავლი. ღილაკის დაჭერა - და სამასაჟე ჭავლი წვიმისებურ შხაპად იქცევა. არანაირი უხერხულობა - მხოლოდ მოძრაობის შეუზღუდავი თავისუფლება და უადვილესი მართვა. PuraVida – ესაა დადებითი ემოცია და კომფორტი, კომფორტი ყველანაირი გაგებით.

PuraVida-ს დიზაინერები

ფორმების პოეტური სიწმინდის და სინატიფის ავტორები სტუდია Phoenix Design-ის დიზაინერები არიან. კრეატიულმა ნოვატორებმა ანდრეას ჰაუგმა და ტომ შენხერმა PuraVida-ს კოლექციისთვის ფორმათა სრულებით ახალი ენა შექმნეს. ვინაიდან ყველა ჩაშენებული ფუნქცია „უხილავია“, დიზაინერების საკვანძო ამოცანა იყო პროდუქციისთვის მაგიური ფორმის მინიჭება.

PuraVida-ს სააბაზანოს შემრევები

სპეტაკი სითეთრე, წმინდა პოეზია

Hansgrohe-ს PuraVida-ს ხაზის პროდუქციის ფართო ასორტიმენტიდან აქ წარმოდგენილია მხოლოდ შემრევები. დატკბით Hansgrohe-ს დახვეწილი დიზაინით და კომფორტით საკუთარ საცხოვრებელში. მნიშვნელობა არა აქვს რას აირჩევთ - იქნება ეს ნიჟარის, ბიდეს, შხაპის თუ აბაზანის შემრევი, PuraVida თქვენი საბაზანოს ნებისმიერი ზონას გაალამაზებს და გაახალისებს. დამატებითი უპირატესობები: საათივით აწყობილი ფუნქციური მექანიზმი და წყლის ეკონომია.

თეთრისა და ქრომის ვნებიანი შეხამება

PuraVida-ს შემრევების დიზაინის DualFinish უნიკალური ორფერიანი დაფერვა ყველა წვრილმანშია გააზრებული. თეთრი ფერის სისპეტაკე ჰარმონიულად ერწყმის დახვეწილ ქრომს, და ყველა ელემენტი შესანიშნავად ერწყმის ერთმანეთს.

ეწვიეთ გალერეა დემასს, შეიძინეთ Hansgrohe/PuraVida-ს ექსკლუზივი და იცხოვრეთ ახალი კომფორტით.

ონკანი - პურავიდა

ონკანი - პურავიდა

ახალი შოურუმი თბილისში

1950 წელს შვეიცარიის ქალაქ ვაილში, რაინთან დაფუძნდა კომპანია ვიტრა. კომპანიამ მუშაობა ათი თანამშრომლით დაიწყო, სამი წლის შემდეგ კი იგი ბაზელში დაფუძნდა. 1957 წელს ვიტრამ ჰერმან მილერის კოლექციის წარმოების ლიცენზია მიიღო, რომელიც ჩარლზ და რეი ეიმსებთან ერთად, ჯორჯ ნელსონის ავეჯის წარმოებასაც მოიცავდა. ათწლიანი მუშაობის შემდეგ, ვიტრამ შეიმუშავა პროდუქტი "პანტონი" - პირველი ერთიანად ჩამოსხმული კონსოლის სკამი, რომლის დიზაინიც ვერნერ პანტონმა შექმნა.

1984 წლის პირველ იანვარს ვიტრამ ჩარლზ და რეი ეიმსებისა და ჯორჯ ნელსონის მიერ შექმნილი ავეჯის წარმოების ექსკლუზივი მოიპოვა ევროპისა და შუა აზიის ქვეყნებისთვის. მას შემდეგ ვიტრა დამოუკიდებელი კომპანიაა.

კომპანიის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში გახდა ოპერა დიზაინი, რომელმაც 18 მაისს ახალი შოურუმი გახსნა. .

კომპანია ვიტრასთან ერთად ოპერა დიზაინის შოურუმში წარმოდგენილია ბელგიური კომპანიის- ბულოს საოფისე ავეჯი და ასევე ალიასისა და ფანტონის პროდუქციაც.

შოურუმში თქვენ შეგიძლიათ ნახოთ ცნობილი დიზაინერების მიერ შექმნილი საოფისე და სახლის ინტერიერის პროდუქცია, ისეთების, როგორებიც არიან თავად ჩარლზ და რეი ეიმსები, ჯორჯ ნელსონი, ჰელა იონგერიუსი, რონან და ერვან ბურულეკები, ისამუ ნოგუჩი და სხვები. შოურუმის ინტერიერი განხორციელდა არქიტექტორ ლევან მუშკუდიანის პროექტით.

ფოტო: ნიკა ფანიაშვილი















New Showroom in Tbilisi

Vitra was founded in 1950 in Weil am Rhein, Switzerland.

The company started with a staff of 10 employees and moved to Basel in three years.

In 1957 Vitra obtained a license on production of design furniture by Hermann Miller, George Nelson and Charles & Ray Eames.

In 1967, after 10 years of work, Vitra introduced a unique product - single-piece moulded console chair, designed by Verner Panton.

Starting with January 1 1984, Vitra became an exclusive manufacturer of Charles & Ray Eames and George Nelson futniture in Europe and Middle East. From that day onwards, Vitra is a fully independent company.

Vitra's official representative in Georgia is Opera Design, which launched a new showroom in Tbilisi on May 18 2012.

Apart from Vitra, Opera Design's new showroom features Belgian Bulo office futniture as well as Alias and Fantoni products.

In Opera Design showroom you will find a wide range of office and home interior products created by famous designers, such as Charles & Ray Eames, George Nelson, Hella Jongerius, Ronan & Erwan Bouroullec, Isamu Noguchi and others.

Author of interior of Showroom is architect Levan Mushkudiani.

PHOTO BY: NIKA PANIASHVILI







სიმაღლის ახალი პერსპექტივები

ადამიანის ერთ-ერთი მახასიათებელი თვისება სილამაზისკენ სწრაფვაა, მაგრამ ისეთ საქმეში, როგორიცაა ბინის მოწყობა, სილამაზე უნდა იყოს პრაქტიკული, ხოლო პრაქტიკულობა ნიშნავს, არა მარტო გამოყენებული მასალების ხანგამძლეობას, არამედ საცხოვრებლის იოლად დასუფთავების შესაძლებლობასაც. იმისათვის რომ თქვენი ბინის ბრწყინვალე ინტერიერი არ იქცეს მუზეუმად და არ დაგროვდეს დროის მტვერი, აუცილებელია რემონტის გაკეთებისას გამოიყენოთ თანამედროვე მოსაპირკეთებელი და სამშენებლო მასალები.

დღესდღეისობით, კედლისა და იატაკის მოსაპირკეთებელი მასალების ფართო არჩევანია, რომელსაც ნებისმიერი მომხმარებლის მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლია, მაგრამ ყოველივე ამის პარალელურად ჭერის გარემონტების არცთუ ისე ბევრი საშუალებაა. არადა, ჭერი ხომ ბინის მთავარი პრობლემა და „სუსტი რგოლია“ უშნო ნაკერები ფილებს შორის, ჩამოყრილი ბათქაში, საეჭვო ყვითელი ლაქები - მეზობლის მიერ ჩამოშვებული წყლის ნაკვალევი-ყოველივე ეს არანაირ სილამაზეს არ მატებს თქვენს სახლს.

შეიძლება ითქვას, რომ ამ პრობლემების გადაჭრის შემდეგი ორი ვარიანტია: პირველი – ჭერის აღდგენა, რაც ნიშნავს თეთრ მტვერს, ლაქებს იატაკზე, ავეჯზე და ოთახებშორის კარებზე. დასვრილ შპალერს და რემონტის სხვა „სასიხარულო“ შედეგებს, შემდეგ კი დებატებს მაღლა მცხოვრებ მეზობლებთან მათი სანტექნიკის მდგომარეობის შესახებ და მეორე – გასაჭიმი ჭერის მოწყობა და მორჩა! აღარასოდეს შეგრცხვებათ თქვენი ბინის ჭერის და აღარასოდეს ინერვიულებთ მოსალოდნელი „წყალდიდობის“ შედეგზე.



2010 წლიდან კომპანია „დიომ“ დაიწყო გასაჭიმი ჭერის წარმოება და გახდა ფრანგული კომპანია “BARRSIOL”-ის ერთადერთი ექსკლუზიური წარმომადგენელი მთელს ამიერკავკასიაში.

თავად კომპანია ბარისოლი დაარსდა 1967 წელს და მას უკვე 45 წლიანი ისტორია აქვს. ბარისოლს წარმომადგენლები ჰყავს მსოფლიოს 145 ქვეყანაში, 5 კონტინენტზე.

ფრანგული გასაჭიმი ჭერი, ეს არის ჭერი, რომელიც: იძლევა განუსაზღვრელი ფანტაზიის საშუალებას; ელასტიურია, შეუძლია მიიღოს თქვენთვის სასურველი ფორმა; შესაძლებ-













ლობას იძლევა შექმნათ დიდი ზომის კონსტრუქციები; გამოიყენოთ ნებისმიერი დანიშნულების ინტერიერში.

ბარისოლის გასაჭიმი ჭერი წარმოადგენს იდეალურად სწორ ზედაპირს, რომელიც მიიღება სპეციალური ფირის გაჭიმვით. ფირი წყალგაუმტრია, საკმაოდ ელასტიურია ოთახის ტემპერატურაზე (უძლებს 1000 პა წნევას). თერმულად სტაბილურია - 40 - +50°C-ზე

მისი ზედაპირი ადვილად იწმინდება რბილი ნაჭრით. გასაჭიმი ჭერის ზედაპირი შეიძლება სრულიად სხვადასხვსგვარი იყოს. ისინი „ოსტატურად“ ახდენენ სხვასდასხვა ფაქტურის იმიტაციას და აქვთ ფერთა ფართო გამა. სხვადასხვა ფაქტურისა და ტონალობის საშუალებით შეგიძლიათ შექმნათ, როგორც ტრადიციული კლასიკური სტილის ჭერი პასტელის ფერებში, ასევე თანამედროვე თითქმის სარკისებური, გლუვი, ხავედრის, აკუსტიკური ან ლითონის ფაქტურიანი ჰაი-ტექ ჭერი.





ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთსა და რომში ახდენდნენ, აბრეშუმის ქსოვილით ჭერის დეკორირებას, ხოლო მასალის ფერს არჩევდნენ კედლების ფერის მიხედვით. დროთა განმავლობაში ქსოვილი უფერულდებოდა, მტვრით იფარებოდა და შესაბამისად, მას ცვლიდნენ ახლით. თანამედროვე გასაჭიმი ჭერის იდეა პირველად შვედეთში გაჩნდა მე-20 საუკუნის 60-იან წლებში და სწრაფად მოიპოვა პოპულარობა ჯერ დასავლეთ ევროპაში, ხოლო შემდეგ, თითქმის, მთელს მსოფლიოში, განსაკუთრებით – საფრანგეთში. სწორედ ფრანგებმა მიიყვანეს სრულყოფილებამდე მისი დამზადების ტექნოლოგია.

გასაჭიმი ჭერის მონტაჟი ხორციელდება სარემონტო სამუშაოების ბოლო სტადიაზე ანუ უკვე გასუფთავებულ ოთახში. დამონტაჟების წინ, პრაქტიკულად, ძირითადი ჭერის არანაირი მოსამზადებელი სამუშაოები არ არის ჩასატარებელი, ერთადერთი, სასურველია, უხეში ჯაგრისით გაწმინდოთ ის ადგილები, სადაც შეთეთრება ცვივა ან ამობურცულია.

რაც შეეხება მონტაჟს, პირველ რიგში, ნებისმიერ სიმაღლეზე, მთელი ოთახის პერიმეტრზე მაგრდება ალუმინის ან პლასტმასის სპეციალური ჩარჩო-ბაგეტი. ბაგეტი შეიძლება დამაგრდეს, როგორც ძირითად ჭერზე, ასევე კედელზეც. იგი, დამონტაჟების შემდგომ ჭერის გასწვრივ შემოვლებული დეკორატიული კარნიზის ფუნქციას ასრულებს, ხოლო დამალული კი საერთოდ არ ჩანს. ბაგეტზე ფირს სპეციალური ტექნოლოგიით ჭიმავენ და აფიქსირებენ.





კიდევ ერთი უპირატესობა, რაც ბარისოლის ჭერს აქვს, არის ის, რომ ჭერის ჩამოხსნა და ხელახლა დამონტაჟება შესაძლებელია 1000-ჯერ მაინც, რაც კიდევ უფრო ხაზს უსვამს მის მაღალ ხარისხსა და გამძლეობას.

გასაჭიმი ჭერი შეიძლება მოიხატოს გრაფიკულადაც, ასევე, შესაძლებელია მასში, როგორც ჩასამონტაჟებელი განათების სისტემების, ასევე ჩვეულებრივი ჭაღის დაყენებაც, რისთვისაც ტილოში სპეციალურად მოწყობილი ნახვრეტი გამოიყენება. ჩასამონტაჟებელი სანათების შემთხვევაში, თითოეული სანათი ცალკეული საკიდის საშუალებით მაგრდება ძირითად ჭერზე, ხოლო გასაჭიმი ჭერის ტილოში იჭრება ნახვრეტი, რომელთაც პერიმეტრზე ეკვრებათ სპეციალური თბოსაიზოლაციო რგოლი. ასევე, შესაძლებელია ჭერის შიგნით განათების კონსტურქციების მოწყობაც, ჭერის მთლიანად განათების მიზნით, რისთვისაც გამოიყენება სპეციალური ნაჭერი.

გასაჭიმი ჭერის დამონტაჟება ბინებში, კოტეჯებში თუ საზოგადოებრივ დაწესეულებებში ფართო შესაძლებლობებს ქმნის ყველაზე დახვეწილი ფანტაზიებისთვისაც კი. ორ-სამ და მრავალსაფეხურიანი კონსტრუქციები, მოციმციმე ვარსკვლავებით, ღრუბლების ფორმით, თაღისებური და გუმბათისებური - მოკლედ ნებისმიერი ფორმის მიღება შეიძლება, თხელი, ელასტიკური მასალის კარკასზე მოჭიმვით. ხანდახან პროექტირების სტადიაში, მხოლოდ მიახლოებით შეიძლება წარმოიდგინო თუ რა გამოვა. საბოლოო სურათი კი იკვეთება მონტაჟის შემდეგ და ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს. ამგვარი ფანტაზიების რეალიზება სხვა მასალების დახმარებით, ან საერთოდ შეუძლებელია, ან ძალიან ძვირი სიამოვნებაა.

კომპანია „დიო“ სთავაზობს მომხმარებელს გასაჭიმ ჭერს, რომელიც უპირატესობების მრავალფეროვნებით გამოირჩევა: საკმარისია მხოლოდ რამდენიმე საათი და თქვენი მოჭიმული ჭერი დამონტაჟდება სამშენებლო ნაგვისა და ავეჯის გადაადგილების გარეშე; მოქნილობის გამო, გასაჭიმი ჭერი უძლებს დიდ სიმძიმეებს; ადვილად მონტაჟდება და იხსნება, არ საჭიროებს სპეციალურ მოვლას; მწარმოებელი იძლევა გარანტიას, რომ თქვენი ჭერი (10) წლის განმავლობაში არ დაკარგავს თავის პირვანდელ ფერს და შეინარჩუნებს საიმედოობასა და გამძლეობას (10) წლის განმავლობაში, ცეცხლგამძლე და ძნელად აალებადია; არ გამოყოფს მავნე ნივთიერებებს, ალერგენებს, არ აქვთ სუნი და ზედაპირზე არ გროვდება კონდენსანტი; წყალგაუმტარობის გამო, გასაჭიმი ჭერი წარმოადგენს საიმედო დაბრკოლებას წყლის გადინებისთვის, არ უჩნდება კოროზია.

P.S. ჭერის ნაჭრის რულონები არის სტანდარტულად ორი ზომის: 1.60 მ და მაქსიმუმ 2.00 მ სიგანის, აქედან გამომდინარე, უფრო დიდი ზომის ჭერს გადაკერვა უკეთდება.







დიზაინის მრავალფეროვნება



წარმოგიდგენთ ახალგაზრდა აზერბაიჯანელი არქიტექტორის, ნათავან ალიევას პროექტით, ახლახანს განხორციელებულ ნამუშევარს – საცხოვრებელ ინტერიერს.

ნათავან ალიევას, როგორც არქიტექტორის პროფესიონალური კარიერა 2002 წელს დაიწყო. აქედან მოყოლებული, წლების მანძილზე მუშაობს ბაქოს წამყვან არქიტექტურულ-სამშენებლო კომპანიებში .მისი დიზაინით ბაქოსა და საერთოდ აზერბაიჯანში მრავალი საინტერესო საცხოვრებელი თუ საზოგადოებრივი ინტერიერი შეიქმნა.

საცხოვრებელში ფუნქციურად ორგანიზებული, ულამაზესი დიზაინის მრავალფეროვნება, სრულყოფილი ფორმების უმაღლესი ხარისხი, გასაზღვრულ და დამაჯერებელ ორგანიზმში ერთმანეთთანაა შერწყმული. განათება, ფერი, აქსესუარები, პროპორციები, მოძრავი გრაფიკა - მათი ერთობლიობით წარმოქმნილი არაორდინალური სივრცეები, ყოველ მოცემულ შემთხვევაში ტექნოლოგიური სიახლეების საშუალებებით გამოგონილ სტრუქტურაზე გაცილებით მნიშვნელოვანია.

ინტერიერის, პრაქტიკულად, მშვიდ და რესპექტაბელურ გარემოში, სადაც დეტალების სიჭარბით ქაოსი არ იქმნება, ყოველი ელემენტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. სივრცე ერთ მთლიანობად აღიქმება და არა მხოლოდ იმიტომ, რომ აქ თანამედროვე კლასიკური ფორმები და დახვეწილი ფერითი გამა დომინირებს. ზუსტად შერჩეული მოსაპირკეთებელი მასალა, ლამაზი ტექსტურა და თბილი ტონალობა, ფურნიტურა სივრცის წარმომადგენლობითობას არბილებს. მთავარია კი ის არის, რომ აქ, თითქმის ყოველთვის რთული

დიალოგი დამკვეთსა და დიზაინერს შორის წარმატებით შედგა.





Diverse Design

This private interior recently created by young Azerbaijani architect Natavan Aliyeva.

Natavan Aliyeva Graduated and started her professional career as an architect in 2002. Employers: leading construction companies in Baku. Designs: hotels, restaurants, recreation areas, and multi-story buildings, etc.

In this space, diversity of functionally organized, highly refined and diverse design and utmost efficiency of forms are merged into a credibly integral space. Lighting, coloring, choice of accessories, proportions, flexible graphics – unordinary composition, formed by combination of these elements, is much more meaningful than an artificial high-tech structure would be in its place.

Quiet and respectable look of the interior, where there are no distracting details, allocates a special function to every detail. The space is perceived as an entity – not just because of classical forms and refined color solution. Carefully chosen finishing materials, textures and warm tonalities of the furniture accentuate the imposing character of the atmosphere.



გემოვნებიანი პარტნიორი



კომპანია "მაგთივინი" დაარსდა 1996 წელს დადაარსების დღიდან მომხამრებელს სთავაზობს მაღალი ხარისხის საქონელს და მომსახურებას. არსებობის მანძილზე კომპანიამ შეძლო აეთვისებინა ბაზრის მნიშვნელოვანი წილი. კომპანიას მინიჭებული აქვს მენეჯმენტის საერთაშორისო სერტიფიკატი ISO 9001:2000.

მაგთივინი გთავაზობთ: თანამედროვესაოჯახო, საოფისე და სასტუმროს ავეჯი: მათ შორის სამზარეულოები, უჯრების და კეტვის უხმაურო, მოსრიალე მექანიზმებით; მოსრიალე კარებიანი ჩაშენებული კუპე-კარადები; ჩარჩოები სურათებისა და სარკეებისათვის; მეტალოპლასტმასის, ალუმინისა და ხე-ალუმინისკარ-ფანჯრები; მინა-ალუმინის ფასადები; ვერტიკალური ფარდა-ჟალუზები, ნაქსოვი ფარდები (ბამბუკი, ჭილი, ხე); მწერებისგან დამცავი ბადეები; თანამედროვე მსუბუქი შიდაკარი.

- გადაწყვიტეთ იცხოვროთ კომფორტულ, მყუდრო და მოდურ სახლში, სახლში, რომელზეც ყოველთვის ოცნებობდით? წარმატებულ კარიერაში უფრო და უფრო მეტ ნაბიჯებს დგამთ წინ, თქვენი ოფისი კი არ შეესაბამება არც თქვენ გემოვნებას და არც თქვენ მიზნებს? დროა იმოქმედოთ და თქვენთვის სასურველი პროდუქტი მაგთივინში შეუკვეთოთ. მაგთივინის პროდუქტი ხომ მოდურია, პრესტიჟულია და ის წარმატებული ადამიანებისთვისაა შექმნილი.

მაგთივინი ეს არის კომპანია სადაც პრიორიტეტს წარმოადგენს მომხმარებელი, მისი სურვილები და მოთხოვნები, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კლიენტის ხარისხიან მომსახურებას.

ჩვენთან დასაქმებულები არიან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებმაც სტაჟირება გაიარეს სხვადასხვა ქვეყნის წამყვან საწარმოებში და აქვთ სათანადო გამოცდილება.

მაგთივინი თანამშრომლობს წამყვან გერმანულ, იტალიურ, ბრიტანულ და ავსტრიულ კომპანიებთან. მათ მიერ მოწოდებული ნედლეული მოწმდება ევროპის ხარისხის კვლევითი ინსტიტუტების მიერ.







წიგნის სახლი ბახტრიონზე

თბილისში კიდევ ერთი ახალი საზოგადოებრივი სივრცე გაჩნდა, "წიგნის სახლი ბახტრიონზე" - შეხვედრების, პრეზენტაციების, პოეზიის საღამოების, ავტორებთან გაცნობის, წიგნის კითხვის სალონური ადგილი. ამიტომაც უწოდეს მას სახლი და არა სხვა რამ.

თუკი, წიგნის სახლში მოხვდებით ბახტრიონზე, თავდაპირველად, აუცილებლად გაგიჩნდებათ განცდა, რომ ეს საჯარო სივრცე კი არა, საცხოვრებელი სახლის მყუდრო ბიბლიოთეკაა; ძველი და ახალი სტილის შერწყმით, კლასიკური ავეჯით, ხის, მეტალისა და შუშის დეტალებით, ბევრი შანდლებით, სამოვარით და რა თქმა უნდა, უამრავი წიგნით, ერთი შეხედვით, ნამდვილ ბიბლიოთეკას გავს.

- როცა ამ პროქტზე მუშაობა დავიწყე, ზუსტად ვიცოდი რა მინდოდა, - გამეთვალა ყველა სეგმენტზე, ვისაც წიგნი უყვარს, რომ თითოეულ შემომსვლელს ამ გარემოში ეპოვა მისთვის საინტერესო, ნაცნობი... შეიძლება ცოტა დავიწყებულიც, მაგრამ აუცილებლად სასიამოვნო განცდა, რაც წიგნთან ურთიერთობას ნამდვილად უხდება. ეს კი, მოგეხსენებათ, ყველაზე მეტად ბიბლიოთეკე-

ბში იგრძნობა. ამიტომ მივმართე ბექა კინწურაშვილს, ახალგაზრდა და ნიჭიერ ადამიანს და ფაქტობრივად ჩვენ ერთად ვიმუშვეთ ამ ინტერიერის შექმნაზე. მერე იყო ძველი ნივთების ძებნა მშრალ ხიდზე, ფიქრი იმაზე თუ როგორ შეგვეწყა ერთმანეთისთვის წიგნი და კაფე ისე, რომ ერთმანეთთან ჰარმონიაში ყოფილიყო. ჩვენ ვაგრძელებთ, მე მჯერა რომ სტანდარტი ყველაფერს კლავს და დიზაინშიც კი, რაღაც მუდმივად უნდა იცვლებოდეს.

- ეს ჩემთვის იყო განსხვავებული სამუშაო, - გვეუბნება დიზაინერი ბექა კინწურაშვილი, - პასუხისმგებლობა ყოველთვის მაქვს, სიფრთხილე გამიჩნდა მეტი. ნებისმიერი პროფესია წიგნთან, სწავლასთან, ლიტერატურასთანაა დაკავშირებული... შესაბამისად აურა უნდა იყოს ისეთი, რომ ყველა ვინც აქ შემოვა, თავს კომფორტულად და მშვიდად გრძნობდეს.

დიზაინზე მუშაობის პროცესში მუდმივად ვითვალისწინებდი, რომ გარემო ყოფილიყო წყნარი, მშვიდი, კომფორტული და რაც შეიძლება დადებითი, თბილი... აი, როცა შერლოკ ჰოლმსი ბუხართან იჯდა პლედში გახვეული, ეწეოდა ყალიონს და ესმოდა მხოლოდ საათისა და ბუხრის ხმა... დაახლოებით ეს იყო ჩემი ინსპირაციის წყარო წიგნის სახლზე მუშობის დროს.

მაკა მამისეიშვილი



Book House in Bakhtrioni

Tbilisi now has one more public space - Book House in Bakhtrioni - a comfortable salon for meetings, presentations, poetic soirees, book readings, etc.

Your first urge at Bakhtrioni Book House will be to fight off an impression that you mistakenly entered a comfortable library at someone's home. By mixing old and modern styles, matching classical furniture with metal and glass details, adding a variety of decorative objects like chandeliers and a samovar and, of course, by piling heaps of books, the authors made this place look like a real home library.

"When I started to work on this project, I exactly knew what I wanted", says founder Maka Mamiseishvili. "My goal was to consider the tastes of all book lovers and to help them find here something interesting, something they already know and maybe have slightly forgotten, but will be really happy to recall… In other words, I wanted to evoke the pleasant feelings, which accompany interaction with books, the feelings which saturate the air in libraries. I addressed Beka Kintsurashvili - young talented man, and in fact we designed this interior together. We ransacked Dry Bridge area looking for antiquities, wrecked our brains to imagine how to merge a book store and a caf? most efficiently… We still continue thinking; I strongly believe that set standards kill everything and that design needs to change constantly."

"This was a totally different project for me", says designer Beka Kintsurashvili. "I always work with due responsibility, but this particular assignment required an especially careful approach. Any profession is connected with books, learning, literature… Consequently, this place was to offer comfort and peace to any visitor."

"While developing the design, I always remembered that the resulting environment should be quiet, peaceful, comfortable and maximally positive… Imagine Sherlock Holmes smoking his pipe by the fireplace and hearing nothing but clock ticking and wood crinkling in the fireplace… This is what inspired me while I designed the Book House".

MAKA MAMISEISHVILI







ავეჯის შერჩევა - ექსკლუზიური გადაწყვეტები


ილია გავრილიადი
ILIA GAVRILIADI

გრანტ მარქაროვი
GRANT MARKAROV

ყოველწლიურად დიზაინერები წარმოადგენენ ინტერიერის დეკორისთვის საჭირო ფურნიტურას, იქმნება ახალი მიმართულებები, კონცეფციები. სხვადასხვა მასალების გამოყენება განაპირობებს მრავალფეროვნებას, შესაბამისად – განსხვავებებს ფასებში და ექსპლუატაციის ვადებში. არსებული შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ადამიანები ყიდულობენ ავეჯს ფასიდან, დიზაინიდან, ფუნქციონალურობიდან გამომდინარე. ყოველთვის ფასობს ხელნაკეთი, ინდივიდუალური აქსესუარები, რომლებიც თანდათან ანაცვლებს ქარხნული წარმოების ნივთებს. სულ უფრო მეტ ადამიანს სურს შექმნას ინტერიერში კომფორტის, მოხერხებულობის ოაზისი. თანამედროვე მასალები, ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა შეიქმნას უნიკალური ინტერიერები. არქიტექტორების გრანტ მარქაროვის და ილია გავრილიადის პროდუქციაში შეხამებულია დემოკრატიული ფასები, საიმედოობა, მოხერხებულობა, დახვეწილი სტილი და ერგონომიული დიზაინი – ყველა ის თვისება, რომელიც ძვირადღირებულ ინდივიდუალურ ავეჯს გამოარჩევს.

გრანტ მარქაროვი და ილია გავრილიადი ის იშვიათი პროფესიონალები არიან, რომლებსაც საკუთარი სტილის სხვებისთვის თავზე მოხვევა არ უყვართ. ყველას აქვს უფლება იხელმძღვანელოს განსხვავებული გემოვნებით, და არქიტექტორებიც ცდილობენ, მაქსიმალურად სწრაფად შეასხან ხორცი დამკვეთის ოცნებებს.

ავეჯის კონსტრუირების უმდიდრესი პრაქტიკული გამოცდილების წყალობით, არქიტექტორებმა პროფესიული სიზუსტით დაამზადეს ესკიზები რეალური პროექტისთვის – კომპანია „დიოს“ თბილისის სათაო ოფისის ინტერიერისთვის. ესკიზებში დამკვეთის ყველა სურვილია გათვალისწინებული, ეს მართლაც ოცნების ხორცშესხმაა. შექმნილი პროდუქცია მაღალხარისხოვანი მასალის და თანამედროვე ტექნოლოგიის ეფექტური, კრეატიული, ხარისხიანი კომბინაციაა. შესრულებული სამუშაოს ეფექტურობას „დიოს“ ახალი ოფისის ინტერიერი მოწმობს.

Exclusive Solutions for Interior Furniture Design

Every year brings us a huge number of designer furniture collections, gives birth to new trends and concepts. Application of different materials results in different look, varying prices and service life. Depending on their abilities, people choose furniture by price, by design or functionality. Handicraft is always valued; gradually it supersedes mass production, because more and more people wish to have personal islands of comfort. Modern materials and technologies allow creation of unique interiors. Products of architects Grant Markarov and Ilia Gavriliadi combine democratic prices, reliability, comfort, refined style and ergonomic design, inherent to expensive designer furniture.

Grant Markarov and Ilia Gavriliadi belong to the number of professionals who do not like to impose their style on others. Everyone has a right to have their own taste, and the two architects believe it is their mission to realize the others' dreams.

Due to rich practical experience of furniture construction, Grant Markarov and Ilia Gavriliadi effortlessly designed sketches for the head office of DIO in Tbilisi. The architects created perfect designs, considering all the wishes of their clients, in a very short time. Due to choice of top-end materials and application of advanced technologies, their furniture combines reliability, creativity and exclusive quality. The proof is close at hand - it is enough to take a look at photos of DIO's redesigned head office.





ოთარ ვეფხვაძის გამოფენა ლადო გუდიაშვილის საგამოფენო დარბაზში

ლადო გუდიაშვილის საგამოფენო დარბაზში მხატვარ ოთარ ვეფხვაძის გამოფენა "გზა" გაიხსნა. ექსპოზიციაზე მხატვრის ბოლო წლების განმავლობაში შექმნილი 47 კერამიკული ნამუშევარი იყო წარმოდგენილი.

ლადო გუდიაშვილის საგამოფენო დარბაზში ოთარ ვეფხვაძის გამოფენა 15 ივნისამდე გაგრძელდა.

ოთარ ვეფხვაძე 1953 წლის 13 აპრილს ქალაქ ბორჯომში დაიბადა. მან თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დეკორატიული გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტი დაამთავრა. მისი ნამუშევრები რუსეთში, გერმანიაში, იტალიაში, აშშ-ში, კანადაში, ლატვიაში, უნგრეთსა და საბერძნეთში იყო გამოფენილი. ოთარ ვეფხვაძე ფილმების "ხვეული კიბით","მთის ნოველა" დამდგმელი მხატვარია .

ოთარ ვეფხვაძის ხელოვნების წარმოშობაზე საუბრისას, პირველ ყოვლისა, თეატრალურობა და მუსიკალურობა უნდა გავიხსენოთ. მართალია, მისი ნაწარმოებების სიუჟეტები ერთი შეხედვით არანაირად არ უკავშირდება თეატრს, მათში მაინც შეიმჩნევა თამაშის, თეატრალურობის გარკვეული მომენტები. ოთარ ფეფხვაძის კერამიკის მეტაფორული სილამაზე სწორედ ამ სფეროში იღებს სათავეს.

მხატვარს თავისებური ენა აქვს. იგი არავის არა ჰგავს, ყველაფრისგან და ყველასგან გამიჯნული მხატვარ-კერამიკოსია. მას, გარკვეული კავშირი ტრადიციასთან გააჩნია და ჩვენს





დროში ესოდენ მოდური "ინსტალატორი" არ გახლავთ. და მაინც, მხატვრის შემოქმედებაში არის თანამედროვე ჟღერადობა, რომელიც ხელოვნებაში მე-20 საუკუნის ბოლოს შემოვიდა, ახლა კი სულაც პრიორიტეტულ ჟღერადობას იძენს.

ოთარ ვეფხვაძის ნამუშევრებში ესაა ქანდაკების და ფერწერის შერწყმა, რომელიც უაღრესად საინტერესო შედეგებს იძლევა. სწორედ ამაშია მისი სტილისტიკა და თანამედროვეობა.

შემოქმედის ხელოვნება მარტო მისი შინაგანი სამყაროს ნაყოფი არაა; იგი ადამიანური იმედგაცრუებისა და ქაოსისგან აღმოცენდა და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს გამოხატავს.

ოთარ ვეფხვაძე ერთ-ერთი მათგანია, ვისაც დამსახურება მიუძღვის თანამედროვე ქართული ავანგარდის შექმნაში. იგი რომანტიული გმირი-შემოქმედია. მისი ცხოვრება რომანის შეთხზვის პროცესს გავს: გემოვნებიანია, მოვლენებით დატვირთულია, დინამიურია, მოულოდნელად ვითარდება და შემოქმედებითი სტილიც სწორედ რომანისტის შესაფერისია: მოცულობითი, მოულოდნელობებით დახუნძლული სიუჟეტები უამრავი მოქმედი პირის მონაწილეობით.

ნინო ლაღიძე



Otar Vepkhvadze's Exhibition in Lado Gudiashvili Exhibition Hall

Lado Gudiashvili Exhibition Hall recently hosted Otar Vepkhvadze's exhibition titled "The Road". According to the comment given by Exhibition Hall coordinator Tamta Shonvadze to Radio Fortuna, the exposition featured 47 ceramic objects, created by the artist during the recent years.

Otar Vepkhvadze was born on April 13 1953 in Borjomi. He studied applied art at Tbilisi State Academy of Arts. Otar Vepkhvadze's works were exhibited in Russia, Germany, Italy, USA, Canada, Latvia, Hungary and Greece; he is the art director of movies "Up the Spiral Staircase" and "Mtis Novela".

While speaking about the origins of Otar Vepkhvadze's art, you would first of all recall theatricality and musicality. Even if the themes of his works seem to be very remote from theatre, they still have that air about them. Metaphorical quality of his ceramic art originates from this very source.

Otar Vepkhvadze has a very special language. He does not resemble anyone. This is a very distinctive artist-sculptor. He definitely has some connection with the traditional; he does not follow the fashionable trend of installation-making. Nonetheless, his art is vibrant with modern language, which started to disseminate in art in the 20th century and gains such an importance nowadays. In Otar Vepkhvadze's works this is a combination of sculpture and painting, and it yields very interesting results. This is what his stylistics and modernity are about.

His art is not just an expression of his inner world, but the struggle with general disappointment and chaos, capable of expressing panhuman content.

Otar Vepkhvadze is one of creators of modern Georgian avant-garde, which made our epoch so famous.

Otar Vepkhvadze is a romantic demiurge hero. He lives as if writing a novel: with gusto, busily, dynamically, making people guess what will follow; and he paints like a novel is written: with generalizations, involving lots of personages, always remembering to allow some suspense in plot development.

NINO LAGHIDZE











ოთარ ვეფხვაძე
OTAR VEPKHVADZE



მხატვარი ია გიგოშვილი (მეუღლე)
PAINTER IA GIGOSHVILI (WIFE)





Fashion-მერჩენდაიზინგი საქართველოში



სამხატვრო აკადემიის პროფესორი
ნინო მგალობლიშვილი
PROFESSOR NINO MGALOBLISHVILI,
STATE ACADEMY OF ART

თანამედროვე ბიზნესის პირობებში ახალგაზრდა სპეციალისტებს, რომლებმაც ესესაა დამთავრეს უმაღლესი სასწავლებელი, უჭირთ საინტერესო და მაღალანაზრაურებადი სამუშაოს პოვნა. ეჭვგარეშეა, რომ თანამედროვე პირობებთან ადაპტირებისა და საკუთარი შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზების შესაძლებლობას სპეციალისტის მომზადების ხარისხი განაპირობებს. უმაღლესი სამხატვრო სასწავლებლის მუშაობა ნაყოფიერად და პერსპექტიულად ჩაითვლება, თუ იგი ხარისხიან განათლებას აძლევს ახალგაზრდას, ამზადებს კონკურენტუნარიან სპეციალისტს, რომელსაც აქვს მრავალმხვრივი განათლება შევსებული მხატვრული და ტექნიკური ასპექტებითა და პრაქტიკული ჩვევებით.

საქართველოში საკადრო ბაზრის უმთავრესი პრობლემა, ჩემი აზრით, ისევ განათლების სისტემაა შრომის ბაზრის მოთხოვნათა კონტექსტში. ასე მაგალითად, საქართველოში პრაქტიკულად შეუძლებელია უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებულთა შორის მერჩენდაიზინგის სპეციალისტის პოვნა. არიან ცალკეული ადამიანები, რომლებსაც უცხოურ ფირმებსა და კომპანიებში მუშაობის შედეგად რაღაც წარმოდგენა აქვთ მერჩენდაიზინგზე, მაგრამ ეს ვერ ქმნის ამინდს. ამ ვითარებაში მერჩენდაიზინგის საფუძვლების შესწავლა ნიშნავს დაწყებით Fashion-ბიზნეს – მომზადებას, რაც შესაძლოა კარგ სასტარტო მოედნად იქცეს ახალგაზრდა სპეციალისტებისათვის კონკურენტუნარიანობისა და შემდგომი კარიერის მოწყობის თვალსაზრისით.

თუ საქართველოში მერჩენდაიზინგი საცალო ვაჭრობის ახალი ტექნოლოგიაა, მთელ მსოფლიოში იგი დიდი ხანია წარმატებით გამოიყენება, როგორც მარკეტინგული ინსტრუმენტი-მერჩენდაიზინგი. ჩვენთან მერჩენდაიზინგი მსხვილ დასავლელ მწარმოებლებთან და მათ მიერ გამოშვებულ პროდუქციისადმი მოთხოვნილებებთან ერთად შემოდის. მერჩენდაიზინგის ინსტრუმენტების სწორად ამოქმედება საშუალებას გვაძლევს დამატებითი ინვესტიციების მოზიდვის გარეშე გავზარდოთ გაყიდვების მოცულობა. კონკურენციის მაღალი დონის პირობებში მერჩენდაიზინგის გარეშე ბაზარზე თავის გადარჩენა პრაქტიკულად შეუძლებელია. კონკურენციის სწრაფი ზრდა კი თხოულობს ჩვენთვის ჯერ ისევ უცნობი ხერხების ათვისებას.

ავღნიშნავ, რომ ქართულ სხვადასხვა პროფესიულ სტანდარტებს შორის პროფესია მერჩენდაიზინგი არ ფიქსირდება. შესაბამისად, ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები მერჩენდაიზერებს ჯერჯერობით არ ამზადებენ.

ქართულ საგანამანათლებლო სფეროში დიზაინერ-პრაქტიკოსთა ძლიერი სკოლა არსებობს. მაგრამ, ევროპული და ამერიკულ საგანმანათლებლო სისტემათაგან განსხვავებით, საქართველოში არ მოგვეპოვება სპეციალური პროფესიული პროგრამები ისეთი სპეციალისტების მოსამზადებლად, როგორებიცაა: Fashion-მენეჯერი, Fashion-მარკეტოლოგი, Fashion-მერჩენდაიზერი, Fashion-რეკლამისტი, Fashion-ჟურნალისტი Fashion-ბიზნესისათვის. ამასობაში, დიზაინის სპეციალობის გარდა, ეს სპეციალიზაციები საზღვარგარეთ განათლების ყველაზე გავრცელებული მიმართულებებია მოდის უმაღლესი სასწავლებელების უმრავლესობისათვის: Fashion Institute of Technologi ნიუ-იორკში, შაინტ Martin School ინგლისში, London College of fashion-ში, Parson's School-ში ამერიკაში; ბაიერს ამზადებს აგრეთვე ბაკალავრიატის ოთხწლიან პროგრამებით Fashion Merchandise Management-ი; არსებობს მოკლე საზაფხულო პროგრამები, მაგალითად, Introduction to fashion buying and Merchandising ლონდონის კოლეჯში და ა.შ.

Fashion-მერჩენდაიზინგი Fashion-ბიზნესის საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფეროა. მაღაზიებს შეუძლიათ მოდას მისდიონ, ასევე შეუძლიათ ე.წ. Trendsetters-ს მიეკუთვნებოდნენ. ეს ყოველივე ცნობილი ჭეშმარიტებებია, რასაც ეფუძნება რთული ბიზნეს-პროცესები, რომლებიც ითვალისწინებენ Fashion-დარგების სპეციფიკას. ყველა შემთხვევაში აუცილებელია ზუსტად იცნობდე შენი მყვიდველების წრეს, იცოდე მათი მოთხოვნილებები და შეგეძლოს წინასწარ განსაზღვრო მათი სურვილები. დარწმუნებული ვარ, რომ Fashion-მერჩენდაიზინგის აქტიურად გამოყენება დღევანდელი დღის უდავო ტენდეციაა. ეს რეალური აუცილებლობით არის გამოწვეული, კერძოდ, პროდუქციის, განსაკუთრებით ლუქსის კლასის პროდუქციის გასაღებასთან დაკავშირებული სირთულეებითა და კონკურენციის ზრდით. როგორც ავღნიშნეთ, ჩვენს ქვეყანაში Fashion – მერჩენდაიზინგი შედარებით ახალგაზრდა დარგია და სათანადოდ არ არის გამოყენებული. სრულიად ცარიელი ბაზრის შესავსებად დახარჯული ხანგრძლივი დროის მანძილზე იგი პრაქტიკულად საჭიროც არ იყო, მაგრამ, დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, როგორც იტყვიან, მოთხოვნა განაპირობებს მოწოდებას... მოვიყვანე რა სისტემაში უცხოელ მეცნიერთა ნამუშევრები, უცხოელ მაღაზიათა ქსელებისა და შემკვეთების გამოცდილება, დავამუშავე Fashion-მერჩენდაიზინგის სასწავლო პროგრამა, რომელიც სტუდენტ-დიზაინერებს დამატებით სპეციალიზაციას ანიჭებს მოდის სფეროში ბიზნესის საწარმოებლად.

აღნიშნული პროგრამა სათაურით ,,მოდის დიზაინი დამატებითი სპეციალიზაციით Fashion-მერჩენდაიზინგი'' დღეისათვის ერთადერთია საქართველოში, რომელიც უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულებს ფუნდამენტური განათლების პარალელურად სთავაზობს დამატებით სპეციალიზაციას - „Fashion-მერჩენდაიზერი''. კვალიფიკაციაში მითითებულია, რომ ასეთ სპეციალისტს ერთდროულად ორი დარგის - მოდის დიზაინისა და მოდის ბიზნესის ზღვარზე შეუძლია მუშაობა.

აღნიშნული პროგრამის მიხედვით, მოდის დიზაინერი და „Fashion-მერჩენდაიზერი'' – ფართო პროფილის სპეციალისტია, რომელსაც სავაჭრო ქსელისა და მოდურ მაღაზიებში თანამედროვეე პროფესიონალის დონეზე სპეციალიზირებული მომზადება აქვს ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, აქსესუარებისა და კოსმეტიკის გაყიდვებში. საცალო ვაჭრობაში მოდური პროდუქციის წინწამოწევის მეთოდებს რომ შეისწავლიან, დიზაინერები შეიძენენ უნარს სხვადასხვა ორგანიზაციულ–ტექნიკური ხერხებითა და რეკლამის მეშვეობით დაიცვან ფირმის პოზიტიური იმიჯი, შეძლებენ პროდუქციის ასორტიმენტის ფორმირება შეუსაბამონ მომხმარებლის სურვილებს და ამით ხელი შეუწყონ მოდური პროდუქციის გასაღების ეფექტურობას. ეს სპეციფიკა აღნიშნული მიმართულების სპეციალისტებს დიდ უპირატესობას აძლევს ტრადიციული პროგრამით მომზადებულ კურსდამთავრებულებთან შედარებით. ცხადია, ეს ინოვაცია უზრუნველყოფს მომავალ დიზაინერთა კონკურენტუნარიანობას და უდავოდ აამაღლებს მათი რაციონალური შრომითი მოწყობის შესაძლებლობებს. პროგრამა დაეხმარება ახალგაზრდა სპეციალისტებს, შეიძინონ არა მხოლოდ ქართული, არამედ საერთაშორისო პროფესიული გამოცდილება სპეციალობაში – ''მოდის დიზაინი'' და ამავე დროს სტიმულს მისცემს საქართველოში Fashion-ბიზნესის განვითარებას. იგი დაგვეხმარება დრო კი არ ვკარგოთ „ველოსიპედის აღმოჩენაში'', არამედ ვისარგებლოთ დასავლეთში უკვე აპრობირებული ტექნოლოგიებით.

ამგვარი პროფესიული სპეციალიზაცია არ მოიპოვება არცერთ ქართულ უმაღლეს სასწავლებელში. მოდის დიზაინერისა და Fashion-მერჩენდაიზერის მომზადებისადმი ჩვენ მიერ გამოყენებული სისტემური მიდგომა ქმნის სპეციალისტის შესაძლებლობათა სრულყოფილად რეალიზების, მათი თვითგანვითარებისა და მომავალი პროფესიულ საქმიანობაში წარმატებული ადაპტაციის პირობებს.

ამიტომ მნიშვნელოვანია სამხატვრო აკადემიის მიერ აღნიშნული პროგრამის ჩართვა მოდის დიზაინის სპეციალობით მაგისტრანტების მომზადების პროცესში. მართალია, ჯერჯერობით მხოლოდ როგორც სასწავლო საგანი. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ამ გზით გადაიდგა ნაბიჯი თანამედროვე სწავლების მოთხოვნათა კონტექსტში. თუმცა მთლიანი სისტემა კვლავაც ღიად რჩება კორექტირებისა და გაფართოებისათვის, რაც შესაძლებლობას მოგვცემს მეტად განვავითაროდ იგი და მოვარგოთ არსებულ საგანმანათლებლო ბაზას.

ნინო მგალობლიშვილი,
სამხატვრო აკადემია, პროფესორი
2012 წ.

Fashion Merchandising in Georgia

Georgian educational system offers fairly good study opportunities in the sphere of practical design, but provides no access to any specialized education programs in fashion management, fashion marketing, fashion merchandising, fashion advertising, fashion journalism, etc. In the meantime, the majority of foreign universities pay as much attention to these professions as to design courses proper – abovelisted subjects are intensively taught in such popular fashion education schools as Fashion Institute of Technology and Parson's School (USA), Saint Martin School and London College of Fashion (UK); one can choose between four-year bachelor degree courses in Fashion Merchandise Management and short summer courses, focusing on such subjects as Introduction to Fashion Buying and Merchandising, etc.

Fashion merchandising is one of the most important areas of fashion business. Shops can just follow the existing fashion trends or act as trendsetters, but they are always obliged to know their consumers, be aware of their requirements and anticipate their wishes. I am sure that active application of fashion merchandising is the most efficient tendency nowadays. This is caused by actual necessity of coping with increasing competition and other difficulties while selling various products (especially at the top end). As we noted, in our country fashion merchandising is a comparatively young, underestimated profession. It was not really necessary in the past, when the market was almost empty, but now the situation has changed and we should consider new requirements... I took time to systemize researches published by foreign scientists and the experience of shop networks and buyers, and developed an educational program in fashion merchandising, which can provide student designers with extra specialization in fashion business.

This educational program, titled "Fashion Design with Additional Specialization in Fashion Merchandising" is unique for Georgia. Extra specialization will allow the graduates of this course to work on the verge of fashion design and fashion business.

According to the mentioned program, fashion designer / merchandiser is a wide-profile specialist with professional education in selling of clothes, footwear, accessories and beauty products. Having studied retail sale promotion methods, young designers will be able to maintain positive image of the trademark, match the choice of merchandise with the consumers' requirements and contribute to increasing the efficiency of fashion product sales. In other words, complex approach toward training in fashion design and fashion merchandising provides young specialists with extra opportunities to fully realize their potential and successfully adapt to professional environment. Considering this, it is important that Tbilisi State Academy of Arts adds the mentioned program to the range of its graduate study courses. Certain steps toward satisfying modern education requirements have been taken already, but local education system in general is still open for expansion and adjustment.

Nino Mgaloblishvili
Professor Tbilisi State Academy of Arts
2012




საქართველოს მხატვართა ეროვნული შემოქმედებითი გაერთიანება

თანამედროვე ქართული ეროვნული მხატვრობის პოპულარიზაციისა და შემდგომი განვითარების ხელშეწყობის მიზნით დაფუძნდა ახალი შემოქმედებითი ორგანიზაცია - საქართველოს მხატვართა ეროვნული შემოქმედებითი გაერთიანება, რომლის მიზნები და ამოცანები მკაფიოდაა განსაზღვრული წესდებით და საქართველოში სხვა მოქმედ შემოქმედებით კავშირებთან ერთად, თავისუფალი და თანასწორუფლებიანია კანონის წინაშე. ჩვენი ორგანიზაცია ეტაპობრივად განახორციელებს საგამოფენო, საგამომცემლო და სხვა სახის პროექტებს და პროგრამებს, დაიცავს მხატვრების საავტორო უფლებებს და სხვა.

2012 წლის 18 მაისს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში საქართველოს მხატვართა ეროვნული შემოქმედებითი გაერთიანების მიერ ორგანიზებული გამოფენა გაიხსნა.

ექსპოზიციაზე სულ 4 თაობის 70 ხელოვანის ნამუშევარი იყო წარმოდგენილი. გამოფენაზე მისულ დამთვალიერებელს ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკების და საეკლესიო თემაზე შექმნილი ნამუშევრების ხილვის საშუალება ჰქონდა.

ამ გამოფენაზე წარმოდგენილი სხვადასხვა თაობის მხატვართა ნამუშევრები ჟანრობრივი მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა და ერთგვარ შემოქმედებით სინთეზს ქმნიდა. თითოეული მათგანი ინდივიდუალური შემოქმედებითი მრწამსის ერთგული, თვითმყოფადი ხელოვანია. მათი ნამუშევრები დაცულია არაერთ პრესტიჟულ გალერეასა და კერძო კოლექციაში. ისინი საოცარი შემოქმედებითი ფანტაზიის წყალობით, სამყაროს პოეტურ, ემოციურ აღქმას სთავაზობენ საზოგადოებას.

მადლობა, გამოფენაში მონაწილე მხატვრებს, ორგანიზატორებს და ყველა იმ ადამიანს, ვისი მეშვეობითაც მხატვრობის მოყვარულები გაეცნობიან გამოფენაზე წარმოდგენილ, როგორც დამწყებ, ასევე საყოველთაოდ ცნობილ მხატვართა შემოქმედებას.

გურამ ცერცვაძე
საქართველოს მხატვართა ეროვნული შემოქმედებითი გაერთიანების თავმჯდომარე

New National Creative Unity of Georgian Artists

was founded to popularize and develop modern Georgian national painting. The aims and objectives of the Unity are defined by its regulations. This is a free organization, as accountable before the law, as other creative unities existing in Georgia. Our organization will engage in exhibiting, publishing, protection of authors' rights and many other projects.

On May 18 2012, National Library of the Parliament of Georgia launched an exhibition, organized by the National Creative Unity of Georgian Artists.

The exposition featured works of 70 artists belonging to four generations. Exhibition visitors could see fine samples of painting, graphic art, sculpture and religious art.

The works of different artists included into this exhibition varied by genres and formed a creative synthesis. Each of the exhibited authors is a unique artist devoted to his creative faith. Many of them are well known in Georgia and abroad; their works are stored in numerous art galleries and private collections. Due to wonderful creative fantasy, they offer the public a poetic, emotional vision of the world.

I would like to thank all the participants of the exhibition, its organizers and all those whose efforts made it possible to promote the works of beginners and famous artists among the public.

GURAM TSERTVADZE
Chairman of the National Creative Unity of Georgian Artists



შემოდგომა ანტალიაზე. 2004

გაზაფხული. 2004



შემოდგომა გომგორზე. 2004



ქალი წითელი კაბით. 1969



ავტოპორტრეტი. 1949



შავი პალიტრა (ავტოპორტრეტი). 1959



ნათელა იანქოშვილი

ნათელა იანქოშვილი დაიბადა 1918 წლის 30 აგვისტოს ქ. გურჯაანში (საქართველოს რესპუბლიკა).

1943 წელს დაამთავრა ქ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია.

1947 წლიდან არის მხატვართა კავშირის წევრი.

1960 წლიდან 1973 წლამდე მოწყობილი აქვს 7 პერსონალური გამოფენა.

1961 წელს კუბასა და მექსიკაში იმოგზაურა და მოაწყო გამოფენები.

1965-66 წწ. დაასურათა შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“.

1974-1975 წწ. მოაწყო გამოფენები ლიტვაში, ლატვიაში, ესტონეთსა და მოსკოვში.

1976 წ. მოაწყო გამოფენა ტრეტიაკოვის გალერეაში, ასევე შვეიცარიაში, ბელგიაში, იტალიასა და საბერძნეთში.

1976 წელს მიენიჭა სახალხო მხატვრის წოდება.

1977 წ. მონაწილეობა მიიღო პარიზში გამართულ გამოფენაში „საბჭოთა სახვითი ხელოვნების 60 წელი“.

1981 წ. ლენინგრადში (პეტერბურგი) ქართველ მხატვართა გამოფენა.

ნათელა იანქოშვილი გარდაიცვალა 2007 წლის 12 ოქტომბერს ქ. თბილისში. დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

აშშ-ს ბიოგრაფიების ინსტიტუტმა „ვინ ვინ არის“ 2003 წელს წარდგენილ ნომინანტთა შორის, რომელთა დამსახურება მნიშვნელოვანია მთელი მსოფლიოსათვის, გამარჯვებულად სცნო ქალბატონი ნათელა იანქოშვილი და მიანიჭა მსოფლიოს „წლის ქალი 2003-ის“ წოდება.

ნ. იანქოშვილი იყო საქართველოს სახალხო მხატვარი, შ. რუსთაველის პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, თბილისის საპატიო მოქალაქე. მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმში, საქართველოს სურათების ეროვნულ გალერეაში, საქართველოს კულტურის სამინისტროში, საქართველოს მხატვართა კავშირში და სამხატვრო ფონდში, აგრეთვე სხვადასხვა მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში.







RUSSIAN DESIGN PAVILION

First Russian Design Pavilion in Florence

May 22-27 2012, Florence Design Week
May 22 – June 3 2012, Lungarno Collection, Lungarno Details

On May 23 2012, CREATIVIRUS Project, supported by Florence Design Weeks and Saint-Petersburg Design Week, Companies AR.T.EX and Studio Italiana Design and trade brand PAXA successfully launched the first-ever Russian Design Pavilion in one of the most prestigious place of the Tuscan capital – in Lugarno Collection Vicolo dell'Oro.

International festival Florence Design Week is one of the most interesting European forums reflecting technical innovations and daring experiments in the sphere of design, and fostering development of cultural and commercial links between the region of Tuscany and different countries of the world.

The Russians envisioned participation in FDW 2012 as an attempt to destroy the stereotypic opinion that "modern Russian design does not exist".

Project organizers found it important to demonstrate examples of stylish, functional and innovative Russian design, capable of competing with European brands.

Pavilion structure and agenda included Russian design showroom (from furniture to interior design accessories), summary exhibition of projects by fifteen finalists of Wine Label Design Contest 2012, and exposition of "GaStar Project" and "The World to Taste" series by talented photo artist Masha Knyazeva.

The project involved leading Russian product-designers: Dima Loginov, Vadim Kibardin, SashaDashaDesign, Maxim Maximov, Anna Denisenko. The Italian public had an opportunity to not only see interesting samples of modern Russian design and graphic art, but also to get acquainted with Pavilion participants. Judging by the general atmosphere, comments of Pavilion participants and the intensity of international dialogue developed in the course of this event, the goal set by project organizers was successfully achieved.

PHOTOS BY COSTANZA VANNI





მშვენიერება რეალობაში

არქიტექტორ მირიან მარგალიტაშვილის მიერ შესრულებულ ნაკეთობებში თუ ფერწერაში ფორმის, ფერისა და პლასტიკის უზადო ფლობა იკითხება. მისი ნამუშევრების ხილვა ხელოვნებისმოყვარულთათვის სასიამოვნო მოულოდნელობად იქცა, დიდი მოწონებაც დაიმსახურა და გაჩნდა იდეა, მისი ნამუშევრების გამოფენა მოეწყოს მომავალში.

მირიანის მიერ შექმნილ ბზის „სკულპტურებში“ დაფარული ენერგია თანდათანობით შეიგრძნობა და აღვიძებს რაღაც თბილს, კეთილს, სუფთას. ჭეშმარიტი გრძნობების და ადამიანური სიყვარულის გამოსახატავად მხატვარი რეალობაში ეძებს მშვენიერებას. თითოეული ქმნილება მეტყველია, თავისებური ღირსებითა და სულიერი სილამაზითაა სავსე - ნათლად ჩანს მათ მიმართ ავტორის სათუთი დამოკიდებულება.

Beauty in reality

The works of Architect Mirian Margalitashvili revealed perfect mastery of form, color and plastics, causing the society's interest

and the general success gave a start to an idea to arrange a larger event in the future

The product mix, created by Mirian, radiate warmth, kindness and purity. The author, inspired by the idea of eternal beauty, actually seeks beauty in reality – his every work is expressive, spiritual and luminous.

MUSIC BOX TV

ტელეკომპანია MUSIC BOX და ჟურნალი STYLE წარმოგიდგენთ -
გასეირნება Style Avenue-ზე.

მხოლოდ ორიგინალური დიზაინის სახლები, მხოლოდ
საქართველოში.
ცნობილი ქართველი არქიტექტორების რეკომენდაციები.

გადაცემის წამყვანი ქეთი ოქროაშვილი ინტერიერის უახლესი და
მსოფლიო ტენდენციების შესახებ მოგიყვებათ.

Style Avenue - ყოველ ხუთშაბათს, 20:30-ზე - MUSIC BOX-ის ეთერში.
განმეორებით - პარასკევს და კვირას 13:00-ზე



ინფორმაციისთვის



მიხეილ ხვიტიას თვალით დანახული საქართველო

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის საგამოფენო სივრცეში 2012 წლის 20 ივნისს მიხეილ ხვიტიას ნახატების პერსონალური გამოფენა გაიხსნა. ,,მიხეილ ხვიტიას თვალით დანახული საქართველო" – გამოფენის სახელწოდების შესაბამისად წარმოდგენილი ფერწერული ნამუშევრების უმეტესობაზე პეიზაჟია ასახული. მიხეილ ხვიტიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ლანდშაფტური ფერწერის განვითარებაში. მისი შემოქმედება გარკვეული ლირიზმითა და რომანტიზმით გამოირჩევა. ბუნაბა მათში გრძნობებთან, ემოციებთანაა გადახლართული. მხატვრის ნამუშევრები დაცულია არამხოლოდ საქართველოს მუზეუმების მუდმივ ექსპოზიციებში: მოსკოვის ტრეტიაკოვის გალერეაში, პეტროპავლოვსკის ხელოვნების მუზეუმში, ფრუნზეს ხელოვნების მუზეუმში, სახალხო მეურნეობის მიღწევათა მუზეუმში (მოსკოვი, რუსეთი), საქართველოს თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში, ქუთაისის მუზეუმში. კერძო კოლექციებში: საქართველოში, რუსეთში, ავსტრიაში, ჰოლანდიაში, გერმანიაში, აშშ–ში, იტალიაში, ფილიპინებში, სირიაში.

მხატვარს სიცოცხლეშივე (გარდაიცვლა 1994 წელს. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.) ჰქონდა არაერთი პერსონალური თუ ჯგუფური გამოფენა და გარდაცვალების შემდეგაც მასპინძლობენ გამოფენებით. გამოფენა მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში 2 ივლისამდე იყო წარმოდგენილი.

ფოტო-მასალა მოგვაწოდა მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის პიარ მენეჯერმა, მაკა პეტრენკომ



Georgia As Seen by Mikheil Khvitia

From June 20 onwards, the exhibition hall of Mikheil Tumanishvili Cinema Actors' Theater hosted personal exhibition of Mikheil Khvitia's works, titled "Georgia As Seen by Mikheil Khvitia". As suggested by the title, most of the presented paintings were landscapes. Mikheil Khvitia made an important contribution to development of Georgian landscape painting. His work is markedly lyrical and romantic: nature intertwined with feelings and emotions. Mikheil Khvitia's paintings are presented in the permanent expositions of Georgian Contemporary Art Museum, Kutaisi Museum, Moscow Tretyakov Gallery, Petropavlovsk Art Museum, Frunze Art Museum, Exhibition of Economic Achievements (Moscow, Russia), etc. Private collections including Mikheil Khvitia's works are scattered across Georgia, Russia, Austria, Holland, Germany, USA, Italy, Philippines, Syria, etc.

Mikheil Khvitia arranged numerous personal and group exhibitions during his life (died in 1944, buried in Didube Pantheon); his works are still actively exhibited. The exhibition in Mikheil Tumanishvili Cinema Actors' Theater continued until July 2 2012.

Photo materials by: Maka Petrenko
PR manager of Mikheil Tumanishvili Cinema Actors' Theater

106.9 FM
FORTUNA

JUNG

insta
Electrical Engineering

JUNG

"ჯეოსი" სახელი

iPhone, iPad და iPod Touch-ის
ეკრანები სრული და ფერადი ანიმაციებით

www.insta.ge

ეკონომიურობა ენერგიის